



8 თებერვალი, 2018



საიუბილეო ნომერი (№ 2216)

თსუ 100 წლის იუბილეს UNESCO-ს ეგიდით აღნიშნავს



United Nations Educational, Scientific and Cultural Organization

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს 2018 წელს იუნესკოს (UNESCO) ეგიდით იმართება — ეს გადამწყვეტილება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ პარიზში გენერალური კონფერენციის 39-ე სესიაზე მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით მიიღო.

1956 წლიდან იუნესკო აქტიურად მონაწილეობს ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ისტორიული მოვლენების აღნიშვნაში, რაც, თავის მხრივ, ამ მოვლენებს მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს.

უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების მთელი ქვეყნის მასშტაბითა და საერთაშორისო დონეზე დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის შექმნილია სპეციალური სამთავრობო კომისია, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანიშვილი. კომისიის შემადგენლობაში ასევე შედიან მინისტრთა კაბინეტის, პარლამენტის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები 2017 წლის დეკემბერში დაიწყო და 2018 წლის განმავლობაში გაგრძელდება.

— უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ვულოცავ არა მხოლოდ უნივერსიტეტებს, არამედ სრულიად საქართველოს. უნივერსიტეტის დაარსება არ გახლავთ ლოკალური მნიშვნელობის მოვლენა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ჩვენი 100 წლიანი იუბილეს იუნესკოს ეგიდით აღინიშნება. ამდენად, ეს არის ხაზგასმის იმისა, რომ ჩვენს იუბილეს საერთაშორისო მასშტაბით დამსახურებულად ვიზიტირებთ. ჩვენ მაქსიმალურად გამოვიყენებთ ამ საზეიმო განწყობას და ამ კონტაქტებს, რათა გაღრმავდეს ურთიერთობები ჩვენს პარტნიორებთან.

გიორგი შარვაშიძე
თსუ-ის რექტორი



ღღეს, თსუ-ის 7 ფაკულტეტზე 22000-მდე სტუდენტი ეუფლება უმაღლეს განათლებას, მათ შორის, 600-მდე საერთაშორისო სტუდენტი.

გახსნილია 67 საბაკალავრო, 95 სამაგისტრო და 51 სადოქტორო პროგრამა.

ამ დროისთვის თსუ-ში სულ 705 აკადემიური პერსონალია დასაქმებული — 158 პროფესორი, 371 ასოცირებული პროფესორი და 176 ასისტენტ-პროფესორი.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისას, 1918 წელს, მხოლოდ ერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი გაიხსნა, რომელზეც 369 სტუდენტი ირიცხებოდა და 7 პროფესორი, 5 პროფესორის მოადგილე, 2 მეცნიერ-ხელმძღვანელი და 3 ლექტორი მოღვაწეობდა.

ნომერები
ჩანართი ინგლისურ ენაზე
ENGLISH TEXT INSERTION
TSU 100 1918-2018
pp. 9-16

- უნივერსიტეტის დაარსების იდეა 83.4
- ასწლეულის მძიმე გაკვეთილები... 83.6

- უნივერსიტეტის მისია დღეს 83.5
- ცნობილი უნივერსიტეტები 83.8
- სამეცნიერო მონაგარი 83.17
- პარტნიორები საერთაშორისო ასპარეზზე 83.19
- უნივერსიტეტები და მათი მოქალაქეობრივი პოზიცია 83.21

თსუ მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში მოხვდა

U.S. News & World Report

The U.S. News & World Report (Clarivate Analytics)-ის 2017 წლის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირებაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 359-ე ადგილი დაიკავა, ანუ ის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში მოხვდა.

თსუ-ის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი

გამოიკითხა თსუ-ის დოქტორანტურის 2014-2017 წლების კურსდამთავრებულები, რომლებმაც უნივერსიტეტის სსვადასხვა ფაკულტეტი დაამთავრეს.

წყარო: თსუ სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი

უნივერსიტეტს ულოცავენ

სრულიად საქართველოს ვულოცავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავის საიუბილეო თარიღს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება და უნივერსიტეტის დაარსება თითქმის ერთ პერიოდში მოხდა. ეს მოვლენები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღებია, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო შემთხვევითი.

მაგრამ ამ ფაქტებით მოგვრილი საყოველთაო სიხარული დიდხანს არ გაგრძელდებოდა, რადგან მალევე ათეისტური რეჟიმი მძიმედ დაანვა ქვეყანასა და ეკლესიასაც.

ამ ურთულეს პერიოდში უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეასრულა. იგი იქცა როგორც მეცნიერულ კვლევათა გამორჩეულ ცენტრად, ასევე ცოდნის, სულიერების, ზნეობის მაგალითის მიმცემად მთელი ერისთვის.

ეს იყო ამ პერიოდში ერთადერთი ადგილი, სადაც, დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, ღვიოდა და ვითარდებოდა ეროვნული სულიკვებება, აზროვნების ის წესი, რამაც საქართველო ღირსეულად გამოატარა დროის ქარცეცხლში.

უნივერსიტეტის მესამე სართულზე, გუმბათქვეშ, ტაძარი ფუნქციონირებდა; მართალია, შემდეგ იგი ბიბლიოთეკად გადაკეთდა, მაგრამ მისი მაღლი დღემდე მოყვება ამ კედლებს. ამიტომაც, ათეისტური რეჟიმის მძვინვარების უამსაც, პედაგოგთა შორის ყოველთვის იყვნენ ისეთნი, რომელნიც ღვთის რწმენას, პირდაპირ თუ ირიბად, უწერგავდნენ ახალგაზრდებს.

შემდეგ კი ამისა იყო ის, რომ დროის უკუღმართობით ფეხმოკიდებულ კომუნისტურ იდეოლოგიასთან დაპირისპირება პირველ რიგში ამ წიაღიდან ხდებოდა, რასაც დედაეკლესია ყოველთვის გვერდში ედგა.

წარსულს რომ თვალს ვავლებთ, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ეს იყო საერთო თავდადებისა და თავდაუზოგავი მოღვაწეობის 100 წელი. აქ მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა ვალდებულება არც დღეს არის ნაკლებად მნიშვნელოვანი, რადგან საქართველოს ზვალინდელი დღე ამ სივრცეში აღზრდილ ახალგაზრდებზე კვლავაც დიდად იქნება დამოკიდებული.

უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს კიდევ ერთხელ გულითადად ვულოცავთ ყველას, განსაკუთრებით კი — უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიური საბჭოს წევრებს, პროფესორ-მასწავლებლებს, რექტორატს, ყველა თანამშრომელს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

თქვენ ხართ დღევანდელი დღე სახელოვანი ისტორიისა, თქვენ ხართ დიდი ივანე ჯავახიშვილის, კონსტანტინე აფხაზის, გრიგოლ გველესიანის, წმ. ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი ახვლედიანის, შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, გრიგოლ წერეთლის, პავლე ინგოროყვას, სიმონ ყაუხჩიშვილის, აკაკი შანიძის, ანდრია რაზმაძის, იოსებ ყიფშიძის, კორნელი კეკელიძის, პეტრე მელიქიშვილის, სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას და სხვა სახელოვან და დიდებულ მეცნიერთა მემკვიდრენი და გზის გამგრძელებელნი.

რაოდენ დიდაა ეს მისია და რაოდენ საპასუხისმგებლო! შევთხოვთ ღმერთს, ჩვენ ყველას მოგვმადლოს გული გონიერი, რათა ღვთისა და ქვეყნის სადიდებლად იყოს ცხოვრებაც და საქმენიც ჩვენნი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ქილია



ვულოცავ საქართველოს პირველ უნივერსიტეტს 100 წლის იუბილეს, რომელიც ცოდნის, თავისუფლებისა და პატრიოტული სულისკვეთების განსაკუთრებული და თვალსაჩინო კერა გახდა.

100 წლის წინ, ჩვენმა წინაპრებმა, მისმა დამფუძნებლებმა ევროპულ ფასეულობებზე და პროგრესულ იდეებზე დაფუძნებული განათლების ახალი კერა შექმნეს.

წელს, ისევე როგორც ქართულ უნივერსიტეტს, პირველ ქართულ რესპუბლიკასაც 100 წელი უსრულდება.

როდესაც ვსაუბრობთ ჩვენი სახელმწიფოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელთა ღვაწლზე, გვახსოვს ის უდიდესი ემოციური და პატრიოტული წვლილი, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების მიმართ უნივერსიტეტს მიუძღვნის.

სწორედ პირველმა ქართულმა უნივერსიტეტმა შეასრულა განსაკუთრებული ფუნქცია, პირველი ქართული რესპუბლიკის შექმნიდან დღემდე, ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე არსებული უამრავი გამოწვევის გამკლავებისა დაძლევის საქმეში, გააძლიერა ის პატრიოტული სულისკვეთება, რომელიც ხელახლა, 70 წლის შემდეგ, ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნით დაგვირგვინდა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველას — სტუდენტობას, პროფესორ-მასწავლებლებს, ქართველ ერს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ საქართველო თანამედროვე ცივილიზაციის თანაშემოქმედა.



გიორგი მარბეველაშვილი საქართველოს პრეზიდენტი

ტსუ 100
1918-2018
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვულოცავ 100 წლის იუბილეს. ამ იუბილეს ვულოცავ სრულიად საქართველოს, რომლის უახლეს ისტორიაში უნივერსიტეტმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. ამ იუბილეს ვულოცავ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, კურსდამთავრებულებს და, განსაკუთრებით, სტუდენტებს, რომლებიც დღეს განათლებას ისტორიულ კედლებში იღებენ. ეს არის გამორჩეული მნიშვნელობის თარიღი პირადად ჩემთვის, როგორც „უნივერსიტეტელისთვის“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორისთვის.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი და მნიშვნელობა ყოველთვის განსაკუთრებული იყო, არის და იქნება მომავალშიც. უნივერსიტეტი არის ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და საქართველოს ეროვნული მომავლის გარანტი. უნივერსიტეტი, მისი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე რთულ მომენტებში იდგნენ ჩვენი ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც ცოდნის ტაძარი, აგრძელებს ასი წლის წინ დანყებულ საქმეს და ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ მას ამ უდიდესი მისიის შესრულებაში. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს წინსვლისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის!

ირაკლი კობახიძე საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე



2018 წელი უმნიშვნელოვანესი საიუბილეო წელია ჩვენი ქვეყნისთვის — 100 წლის წინ გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ეს იყო ორი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა საქართველოსთვის.

ჩვენმა დიდმა წინაპრებმა, უნივერსიტეტის დამაარსებლებმა და მათმა თანამოაზრეებმა მტკიცე საფუძველი ჩაყარეს საიმისოდ, რომ უნივერსიტეტი გამხდარიყო არა მარტო მთავარი საუნივერსიტეტო განათლების ცენტრი, არამედ შეესრულებინა ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებისა და კულტურის კერის როლი საქართველოში.

დღეს ჩვენ ვამაყობთ, რომ გვაქვს დიდი ტრადიციების მქონე უმაღლესი სკოლა, რომლის კედლებს ბევრი სახელოვანი მეცნიერი და პედაგოგი ახსოვს და რომელმაც არაერთი საამაყო შვილი აღზარდა ქვეყანას. სასიხარულოა, რომ ეს ტრადიციები დღესაც ღირსეულად გრძელდება და მას მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებს შორის საბატიო ადგილი უჭირავს.

მჯერა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს, კვლავაც იქნება მთავარი უმაღლესი საგანმანათლებლო და კულტურის კერა და კიდევ არაერთ საამაყო თაობას აღზრდის ჩვენს ქვეყანას.

ყველა უნივერსიტეტელს და სრულიად საქართველოს გილოცავთ ჩვენი უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს!

გიორგი კვიციანი საქართველოს პრემიერ-მინისტრი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავი და ტსუ-ის 100 წლის იუბილე



უნივერსიტეტს ულოცავენ



მეცნიერება და განათლება — თავისთავად უდიდესი ფასეულობები, ამავდროულად, სხვა საზოგადო სიკეთეთა — თავისუფლების, კეთილდღეობის, განვითარების აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ. ეს კარგად ესმოდათ ივანე ჯავახიშვილს, პეტრე მელიქიშვილს, კონსტანტინე აფხაზს, ექვთიმე თაყაიშვილს, დიმიტრი უზნაძეს, ჩვენი ქვეყნის სხვა უდიდეს შვილებს, რომლებმაც უნივერსიტეტის დაარსება ცხოვრების უმთავრეს მიზნად დაისახეს. ამ მიზნის ხორცშესხმით უნივერსიტეტი იქცა მეცნიერების, კულტურისა და აზროვნების უმნიშვნელოვანეს კერად, საზოგადოებრივი ცხოვრების ძლიერ ბურჯად, რომელიც ერთნაირად ძვირფასია ყველა ქართველისათვის.



უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ვულოცავ არა მხოლოდ უნივერსიტეტელებს, არამედ სრულიად საქართველოს!
უნივერსიტეტის დაარსება არ გახლავთ ლოკალური მნიშვნელობის მოვლენა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ჩვენი 100 წლოვანი იუბილე იუნესკოს ეგიდით აღინიშნება. ამდენად, ეს არის საზოგადოებისა, რომ ჩვენს იუბილეს საერთაშორისო მასშტაბით დამსახურებულად ვიზიტირებთ. ჩვენ მაქსიმალურად გამოვიყენებთ ამ საზეიმო განწყობას და ამ კონტაქტებს, რათა გაღრმავდეს ურთიერთობები ჩვენს პარტნიორებთან.

ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას, ყველაფერი ეროვნულის — ენის, კულტურის, ტრადიციების ხანგრძლივი დევნის შემდეგ, ავტოკეფალიის მოპოვებასთან ერთად, უნივერსიტეტის დაფუძნება იქცა გადამწყვეტ ნაბიჯად თავისუფლების გზაზე, რომელიც 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციით დაგვირგვინდა. ეს ისტორიული მოვლენები სამი დედაბოძია, რომელთაც ჩვენი დამოუკიდებლობა, თავისუფლებისა და განვითარებისკენ სწრაფვა დაეფუძნა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო თსუ-ის იუბილეს ღირსეულად აღნიშვნაში, უნივერსიტეტისადმი მხარდაჭერაში, რაც გამოიხატება მნიშვნელოვანი ინვესტიციური პროექტების დაფინანსებაში — იგეგმება უნივერსიტეტის მეორე კორპუსის რეაბილიტაცია, უკვე გადმოგვეცა საერთაშორისო სტანდარტების მქონე სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ლისზე, უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა გამოუშვა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უნივერსიტეტს გადმოსცა თბილისის პათანატომიის ცენტრი, სადაც ჩვენი სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკული მეცადინეობები უტარდებათ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ასევე, კონკურსი გამოაცხადა თსუ-ის საიუბილეო საფოსტო მარკის ესკიზზე, უახლოეს მომავალში გადაიჭრება მასშტაბური საერთო საცხოვრებლის აშენების საკითხი — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოაცხადა ინტერესთა გამოხატვა მასშტაბური საერთო საცხოვრებლის მშენებლობაზე. ეს პროექტი საბოლოოდ გადაწყვეტს სტუდენტთათვის საერთო საცხოვრებლების პრობლემას არა მხოლოდ თსუ-სთვის, არამედ სხვა უნივერსიტეტებისთვისაც.

დღესაც, უძველესი და თვითმყოფადი კულტურის მქონე საქართველოს უკეთეს მომავალზე ფიქრისას ბუნებრივად წარმოვიდგენთ უნივერსიტეტს, როგორც ხვალის დღის ერთ-ერთ მთავარ სამჭედლოს.

წელს პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავს ვხვდებით. ჩვენთან ერთად საუკუნოვანი იუბილეს, იუნესკო-ს ეგიდით, საერთაშორისო თანამეგობრობაც აღნიშნავს.

საზეიმო წუთებში, დამაარსებლებთან ერთად, მადლიერების გრძობით ვიხსენებთ ყველას, ვინც საკუთარი ცხოვრება დედაუნივერსიტეტს მიუძღვნა.

მადლობას გიხდით პროფესორებსა და მეცნიერებს, ვინც დღეს გადასცემთ ფასდაუდებელ ცოდნასა და გამოცდილებას ქვეყნის ხვალის დღის მშენებლებს — ახალგაზრდობას; სტუდენტებს, ვინც აუდიტორიებსა თუ ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკებსა თუ კვლევით ცენტრებში ცოდნის დაუფლებით არა მხოლოდ საკუთარ ღირსეულ ცხოვრებას, არამედ ახალ — განათლებულ და თავისუფალ ადამიანთა საქართველოს ქმნიან. მადლობა ყველა თანამშრომელს, ვინც ამჟამად და დაუღალავად ემსახურებით უნივერსიტეტის განვითარებას.

ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველოში პირველი უნივერსიტეტი დღესაც ღიადღობს და რეგიონში პირველი ადგილი უკავია კვლევების, იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში პუბლიკაციების მიხედვით და მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში შედის.

როგორც განათლების მინისტრი, გპირდებით თანადგომას თქვენს ძალისხმევაში, რადგან მჯერა, რომ იგი ახალი სამეცნიერო და შემოქმედებითი სიმაღლეების ათვისებისა და ქვეყნის განვითარების სანინდარია.

თქვენთან ერთად, მთელ ჩვენ საზოგადოებას ვულოცავ იუბილეს და შემდგომ წინსვლას ვუსურვებ პირველ ქართულ უნივერსიტეტს.

უპირველეს ყოვლისა, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერ-თანამშრომლებს და უნივერსიტეტის ყველა თაობის კურსდამთავრებულს (ჩვენ ხომ 300 000-ზე მეტნი ვართ) ვულოცავ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს!

მიხეილ ჩხენკელი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

გიორგი შარვაშიძე
თსუ-ის რექტორი



გილოცავთ კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნებიდან 100 წლის იუბილეს. განათლება თავისუფლებაა და ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდში დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად შეიქმნა. უნივერსიტეტის შექმნის იდეა სწორედ თავისუფალ, ქვეყნის განვითარების მისიის მატარებელ ადამიანებს ეკუთვნის, რადგან შეუძლებელია თავისუფლება განათლების გარეშე და პირიქით. დღეს უკვე რთული და პერიპეტებით აღსავსე ასწლეულის გავრიპეტებით აღსავსე უნივერსიტეტი ჩვენთვის არა მხოლოდ თავისუფლებასთან და დამოუკიდებლობასთან, არამედ ეროვნული მიზნებისათვის ბრძოლასთან, განვითარებასთან, ერთიანობასთან და, რაც მთავარია, უკეთეს მომავალ თაობასთან ასოცირდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეძლო არა მარტო სხვადასხვა დარგის უმაღლესი რანგის სპეციალისტები აღეზარადა, არამედ ეროვნული ღირებულებები ჩაენერგა თითოეული სტუდენტისთვის. სწორედ ამ უდიდესი მისიის გამოა ის გამორჩეული სასწავლებელი.

მოხარული ვარ, რომ წლევედელი საიუბილეო ღონისძიებები იუნესკოს ეგიდით იმართება და იმედს გამოვთქვამ, ახლო მომავალში, უნივერსიტეტის მმართველობის ძალისხმევით, პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი უმაღლეს სიმაღლეებს მიაღწევს და გამორჩეული გახდება არა მარტო რეგიონში, არამედ ევროპაშიც.

დღევანდელი ჯონსტიბუციით საბოლოოდ გამოარდება უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპი

როგორც „პროფესორთა საბჭოს ოქმებში (1917-1926)“ არის ასახული (ოქმი №12), 1918 წლის 30 მაისს უნივერსიტეტის მმართველობის უმაღლესმა ორგანომ — პროფესორთა საბჭომ სპეციალურად განიხილა საქართველოს მთავრობასთან უნივერსიტეტის სტატუსის საკითხი. საბჭომ დაადგინა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაქცევის შემდეგ მას „უნდა ჰქონდეს სრული ავტონომია“. მთავრობას უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება და კონტროლი.

თუ 1918-1921 წლებში თვალს გადავავლებთ ქართულ კულტურასა და მეცნიერებას, ვნახავთ, რომ ეს არის უდიდესი აღმავრდის და ნაყოფიერების წლები, ჭეშმარიტად დემოკრატიული და პროგრესული წლები. სახელმწიფო არ ერეოდა სასწავლო და სამეცნიერო პროცესში, რამაც საგანმანათლებლო წინსვლა განაპირობა...

უნივერსიტეტის ავტონომიურობის საკითხი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. ამის თაობაზე თსუ-ის რექტორი საგულისხმო აქცენტებს აკეთებს.

გიორგი შარვაშიძე,
თსუ-ის რექტორი:

— უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპი მისი დაარსებისთანავე იყო განსაზღვრული. 1917 წელს ჩამოყალიბებული ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების მე-3 პუნქტში, რომელიც ძალიან თანამედროვედ გამოიყურება, წერია, რომ „ქართულ უნივერსიტეტს სრული ავტონომია აქვს“. ჩვენი წინაპრები, ვინც დააფუძნა ეს უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ავტონომიურობის მომხრეები იყვნენ და სიმბოლურია, რომ, ზუსტად 100 წლის შემდეგ, თსუ-ის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც დაფიქსირებულია უნივერსიტეტის ავტონომიურობა (მუხლი 27). ამ ცვლილებით საბოლოოდ გამოყარდება ორი მთავარი პრინციპი — უნივერსიტეტის ავტონომიურობა და აკადემიური თავისუფლება. მიგვაჩნია, რომ ჩვენ ასლა განვითარების ისეთ ეტაპზე ვართ, რომ უნივერსიტეტი რეალურად უნდა იქცეს საზოგადოებრივ ინსტიტუციად. იმედი მაქვს, მთავრობა და კანონმდებლები მხარს დაუჭერენ ამ ინიციატივასაც.



უნივერსიტეტის დაარსების იდეა

ისტორიული რაკურსი

თამარ ლაღიანი

თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის აზრი ივანე ჯავახიშვილს 1908 წელს გაუჩნდა, როდესაც პეტერბურგში ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე შექმნა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ თბილისში ისე სასწრაფოდ გამოემგზავრა, რომ ბარგის, უძვირფასესი ნივთებისა და ხელნაწერების დიდი ნაწილი გზაში დაკარგა. ივანე ჯავახიშვილი საქართველოში სამუდამოდ ჩამოვიდა და უნივერსიტეტის გახსნის საქმეს შეუდგა. მხარდამჭერები, ცხადია, ჰყავდა, მაგრამ, სპეციფიკებისა და ნიჰილისტების გარდა, წინააღმდეგობას დიდი ნიკო ნიკოლაძეც უწევდა. ნიკო ნიკოლაძის სურვილი იყო პოლიტიკური სასწავლებელი გახსნილიყო, რადგან საქართველოს ინჟინრები და ტექნიკური მუშაკები სჭირდებოდა. მაგრამ ჯავახიშვილს უფრო ფართო ხედვა ჰქონდა, იგი უნივერსიტეტს ანიჭებდა უპირატესობას, რადგან უნივერსიტეტს მეცნიერული აზროვნების კერად მოიაზრებდა.

უნივერსიტეტის დაარსების წინაპირობა

უნივერსიტეტის დაარსების იდეა მყარ ფესვებზე იდგა, რადგანაც ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები სათავეს იღებდა ფაზისის ფილოსოფიისა და რიტორიკის სკოლის (IV საუკუნე), გელათისა და იყალთოს აკადემიებიდან (XII საუკუნე), ასევე პალესტინის (V საუკუნე), სირიის (VI საუკუნე), საბერძნეთისა (X-XI საუკუნეები) და ბულგარეთის (XI საუკუნე) ქართული სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრებიდან. მტერთა შემოსევებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური დაუძლურების შედეგად მათ ჯერ კიდევ XIV საუკუნეში შეწყვიტეს ფუნქციონირება, საქართველოს რუსეთის კოლონიად გადაქცევამ კი ნერტილი დაუსვა ეროვნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობას.

ამ ტრადიციებთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტებზე მოგვითხრობს ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ ბაიპარაშვილი:

„როდესაც ქართულ საგანმანათლებლო ტრადიციებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ფაზისის აკადემია და საეკლესიო-სამონასტრო ცენტრები, რომლებიც მრავლად იყო როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ ცენტრებთან ურთიერთობით ხდებოდა სიბერძნისა და მიღწევების ურთიერთგაზიარება, ასე ვთქვათ, სინთეზი უცხოურ საგანმანათლებლო, სასულიერო და კულტურულ ფასეულობებთან. გელათის აკადემია, დაახლოებით, იმ პერიოდში ფუნქციონირებდა, როცა ევროპაში პირველი უნივერსიტეტი (ბოლონიის უნივერსიტეტი) ფუნქციონირებდა. განათლების სპეციალისტებმა და ისტორიკოსებმა გელათის აკადემიისა და ბოლონიის უნივერსიტეტის პრინციპების კვლევისას საოცარი თანხვედრა

აღმოაჩინეს: ორივე სასწავლებელში ტრივიუმ-კვადრიუმის ციკლის საგნები ისწავლებოდა, რაც ადასტურებს იმას, რომ ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით ევროპასთან. სამწუხაროდ, ქვეყნის ტრაგიკული ბედის გამო ხანდახან ვწყვედობდით ევროპულ ოჯახს, მაგრამ როგორც კი საშუალება გვეძლეოდა, გვხვდებოდა ევროპისკენ ვიღებდით. როდესაც ივანე ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტს ქმნიდა, მას ორი პრინციპი ამოძრავებდა: პირველი — უნივერსიტეტი უნდა დაფუძნებულიყო ქართულ საგანმანათლებლო ტრადიციებზე; და მეორე — ის უნდა ყოფილიყო ევროპული უმაღლესი განათლების კერა...“.

უნივერსიტეტის დაარსების პირველი მოთავეთა ბრძოლა ილია ჭავჭავაძის აქტიურმა ზოგადიანი შეცვალა

უნივერსიტეტის დაარსების იდეა, XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლის გააქტიურებასთან ერთად დაიბადა და პირველად 1832 წლის შეთქმულება გაახმოვანეს. ისინი ქვეყნის გათავისუფლებასთან ერთად საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის საჭიროებაზეც საუბრობდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იდეა მაშინ ისეთივე განუხორციელებელი დარჩა, როგორც შეთქმულების მთავარი მიზანი — „თავისუფლება“... მათ ბრძოლას მომავალში გალაკტიონ ტაბიძემ „ფერმკრთალი“ უწოდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში საზოგადოებრივ აზარებზე გამოვიდა ახალი თაობა ერის წინამძღოლად აღიარებული ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები დაბეჯითებით მოითხოვდნენ უნივერსიტეტის გახსნას, მაგრამ ცარიზმი ამის წინააღმდეგი იყო იმ მოტივით, თითქოს ქვეყანა მოუზადებელი გახლდათ უნივერსიტეტისთვის. მიუხედავად ცარიზმის ამ თეზისისა, გარემოება სხვას მოწმობდა: ქართველ სტუდენტთა რიცხვის ზრდა რუსეთისა და ევროპის უმაღლესი სასწავლებლებში ადასტურებდა, რომ ახალგაზრდობა მზად იყო შეეცნო აუდიტორიები, თუკი თბილისში უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნებოდა. ხსენებული ყალბი თეზისის გამო ილია წერდა: „ახლა ვსთქვათ, რომ ჩვენი ხალხი ვითომ მართლა მოუზადებელია. მაშ, ვინც მოუზადებელია, თავის დღეში აღარ უნდა მომზადდეს? ხალხს რა აზმადებს? სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა. კაცს ხელ-ფეხს ვუკრავთ და ვეუბნებით კი — ჭიდილი ისწავლეო“...

ივანე ჯავახიშვილი — ილიას გზის გამგრილებელი

1914 წლის ბოლოს რუსეთის იმპერიაში გამოვიდა კანონი, რომელიც იმპერიის განაპირა რაიონებში უმაღლესი სასწავლებლების შექმნის უფლებას იძლეოდა. სწორედ ეს უფლება გამოიყენეს უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნების მსურველმა ქართველებმა.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაარსების ორგანიზატორი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ალზრდილი და მისი პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. იგი სამართლიანად ითვლება ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად ქართული ეროვნული თვითმეგობრის შენარჩუნებისა და გაძლიერების თვალსაზრისით.


ივანე ჯავახიშვილმა სწორედ უნივერსიტეტის გახსნის იდეის ხორცშესხმის მიზნით ჩაატარა გამოკითხვა და დაადგინა — მსოფლიოს რომელ ქვეყნებში სწავლობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი სტუდენტები და პროფესორები. ამით მან გარკვეული წარმოდგენა შეიქმნა ქართველ პროფესორებზე, რომელთაგანაც მომავალში ქართული უნივერსიტეტი უნდა დაკომპლექტებულიყო.

1917 წლის თებერვლიდან ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის დაარსებისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. მან პეტერბურგში, თავის ბინაზე შეკრიბა უნივერსიტეტის დაარსებით დაინტერესებული ქართველი მეცნიერები: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვები. სწორედ ამ კრებაზე დაიწყო საქართველოს უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. 1917 წლის გაზაფხულზე ივანე ჯავახიშვილი თბილისში ჩამოვიდა და 12 მაისს ჩაატარა ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ლუარსაბ ბოცაძე, გრიგოლ ვეშაპელი, ილია ზურაბიშვილი... კრებაზე ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ისტორიული მოხსენება, რომელშიც ასაბუთებდა, რომ უნივერსიტეტის დაარსება ერის გონებრივ და კულტურულ აღორძინებას შეუწყობდა ხელს. მას მიაჩნდა, რომ სწორედ უნივერსიტეტის დაარსებით გახდებოდა შესაძლებელი სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური ინსტიტუტების დაარსებაც, რაც შემდგომ სწორედ ასეც მოხდა.

მუხანათური გეგმა

ქართული უნივერსიტეტის დაარსების მცდელობას დაუპირისპირდა ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის ფილიალი (ოზაკომი), რომელიც რუსეთში ცარიზმის დამსობის შედეგად შეიქმნა. მას გეზი რუსული უნივერსიტეტისკენ ჰქონდა აღებული. ოზაკომში ეროვნულ ინტერესებს კიტა აბაშიძე იცავდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ეს მისია აკაკი ჩხენკელმა ითავა, რომელიც გვერდით ედგა ივანე ჯავახიშვილს. იგი არ კმაყოფილდებოდა უნივერსიტეტის ძირითადი დებულების პეტერბურგში გაგზავნით — უკვეშირდებოდა პეტერბურგელ ქართველ მოღვაწეებს და სთხოვდა — დაეჩქარებინათ მთავრობაში კერძო ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულების დამტკიცების საკითხი.

ამ პერიოდში გაჩნდა უაღრესად მუხანათური გეგმა, რომელიც დროებითი მთავრობის მიერ ინსპირირებულმა ძალებმა გაახმოვანეს — თბილისში შეიქმნა შეიქმნა კერძო ქართული უნივერსიტეტი, მაგრამ მანამდე უნდა დაარსდეს ამიერკავკასიის რუსული



სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1917 წლის 27 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილმა ამიერკავკასიის კომისარიატს მიმართა უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულების დასამტკიცებლად. ოზაკომმაც განიხილა ჯავახიშვილის შუამდგომლობა და დასტურა მისცა.

ზურაბ გაიპარაშვილი:

„რუსეთი კულტურის განვითარების საშუალებას გარკვეულ დონემდე მოგცემს, სანამ იმპერიული ინტერესების საწინააღმდეგოს არ დაინახავს. ამიტომ დაუპირისპირა მან ქართულ უნივერსიტეტს კავკასიის რუსული უნივერსიტეტი. მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი: 1900 წლის 14 ოქტომბერს, გიმნაზიის მშენებლობის დაწყებისას, საძირკველში ჩაიდმო გრანიტის ფილა, სადაც მნიშვნელოვანი იყო იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მფარველობის შესახებ. ეს არის 1900 წელი, მაშასადამე, საქართველო უკვე ერთი საუკუნეა რაც რუსეთის იმპერიის გუბერნიია... ისიც გავიხსენოთ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ქართულად აღარ მეტყველებდა და ქვეყანა თითქოს შეგუებული იმას, რომ რუსეთის გუბერნიას, მაგრამ რას წერენ ნიკო ცხვედაძე და მისი თანამებრძოლები იმ ფილაზე? ისინი ხაზს უსვამენ, რომ ნიკოლოზ II საქართველოს იმპერატორი კი არა — მფარველია, ანუ მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია საქართველოს რუსეთის იმპერიის ნაწილად მაინც არ მიიჩნევს. ეს მუხტი გადაეცა უნივერსიტეტს და, მიუხედავად საბჭოური წნებისა, მისი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის არც შემდგომში ჩამქრალა“.

საქართველოს გონების სუვერენობის აღდგენა

უნივერსიტეტის დაარსების კამპანია ოზაკომიდან მიღებული დასტურის შემდეგ მთელი საქართველოს მასშტაბით გაიშალა: საზოგადოებამ დაიწყო ქველმოქმედება, შეიქმნა საფინანსო კომისია, ბევრი გზავნიდა თანხასაც, შეიძლება ეს საქმეს არ ყოფნიდა, მაგრამ მორალური მხარდაჭერისთვის დიდი სტიმული გახლდათ. უნივერსიტეტის დაარსებას დახმარება გაუწიეს როგორც ქართველებმა, ასევე არაქართველებმაც.

მაგალითად, ცნობილია, რომ დიდი რაოდენობით თანხა გამოგზავნა ქართველი ერის დიდმა მეგობარმა, სომეხმა საზოგადო მოღვაწემ ოვანეს თუმანიანმა.

უნივერსიტეტის დაარსებისთვის საფუძველი, გარკვეულწილად, უკვე ჩაყრილი იყო თბილისის გიმნაზიის მშენებლობის დროს. ნიკო ცხვედაძის თაოსნობითა და არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილის პროექტით აგებულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში (უნივერსიტეტის ახლანდელი მთავარი კორპუსი) ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა ქართველი მოღვაწენი იმთავითვე ქართულ უნივერსიტეტს მოიზარებდნენ.

სრულყოფილი უნივერსიტეტის გახსნისთვის არანაკლებ 4 ფაკულტეტი იყო საჭირო — ისტორიულ-ფილოლოგიური, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, იურიდიული და სამკურნალო. კრებაზე, რომელიც 1917 წლის 9 ნოემბერს გაიმართა, დადგინდა, რომ ჯერჯერობით დაარსებულიყო ერთი ფაკულტეტი — სიბერძნისმეტყველების, ანუ საფილოსოფიო ფაკულტეტი შემდეგი განყოფილებებით: 1) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (რომელიც უდრიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ და აღმოსავლური ენების ფაკულტეტებს); 2) სამათემატიკო და 3) საბუნებისმეტყველო. რაც შეეხება სამკურნალო ფაკულტეტს, გადაწყდა, რომ „ეთხოვოს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს გაბრიელ გრიგოლის ძე ლამბარაშვილს, ერთად იქონიონ მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის არის ახლო მომავალში შესაძლებელი, რომ ქართული უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტი დაარსდეს“.

ძნელი და მძიმე გზის შემდეგ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ძალისხმევას შედეგი მოჰყვა. 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით — 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 1 საათსა და 20 წუთზე თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში საზეიმოდ გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. ამ მოვლენას სამართლიანად უწოდეს „საქართველოს გონების სუვერენობის აღდგენა“. სტუმრების მიღება და დღესასწაულის ხელმძღვანელობა ილია ჭავჭავაძის დისწულმა კოტე აფხაზმა იტვირთა.

უნივერსიტეტი აკურთხა და გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ.

გამოყენებული მასალები:

- „პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ. 2006;
- „უნივერსიტეტი“, თბ. 2008;
- ზ. გაიპარაშვილი, ს. ჯორბენაძე, „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“, 1988.



უნივერსიტეტის მისია დღეს

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე

— საქართველომ XX საუკუნეში განვითარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა. უპირველესად, ეს გახლდათ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს, შემდეგ უნივერსიტეტის დაფუძნება 1918 წლის 8 თებერვალს და, ბოლოს, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

უნივერსიტეტის დაფუძნება გახლდათ ლოგიკური დაგვირგვინება იმ მოძრაობისა, რომელიც XIX საუკუნეში დაიწყო ჯერ კიდევ „მამების“ თაობამ, შემდეგ, ილიას თაოსნობით, „შვილების“ თაობამ, შემდეგ ნერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და, ბოლოს, „ქართული უნივერსიტეტის“ საზოგადოებამ.

უნივერსიტეტი დაარსებიდანვე რამდენიმე ფუნქციას ასრულებდა. მისი დაფუძნების დღეს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ მეორის მიმართვაში, პირველი, რამაც გაიჟღერა, ეს იყო დაფუძნება ქართულ ტრადიციებზე დამყარებული ევროპული უნივერსიტეტისა და ეს ნიშნავდა მართლაც პირველ ქართულ უნივერსიტეტს. სიმბოლურია ისიც, რომ უნივერსიტეტი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა და, უნივერსიტეტის დამფუძნებელი „მამების“ მხრიდან, ამ სახელთან უნივერსიტეტის დაკავშირება იმის მანიშნებელი იყო, რომ ახალი განათლების კერა გელათის აკადემიის ტრადიციების გამგრძელებელი გახლდათ.



გიორგი შარვაშიძე

ზოგადად, პოზიციონირებას, როგორც ევროპული დაწესებულებისა, პირველი ქართული უნივერსიტეტი იმითაც ამართლებდა, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის უნივერსიტეტებისგან მრავალი ნიშნით განსხვავდებოდა. ჯერ კიდევ იმ დროს, უნივერსიტეტში შემოღებულ იქნა ერთი სადოქტორო ხარისხი, ისევე, როგორც გერმანიის უნივერსიტეტებში.

იმას, რომ უნივერსიტეტი ევროპულ ტრადიციებთან ერთად ევროპულ ფესვებზე იდგა, ადასტურებდა ის, რომ აქ სწავლება და განათლება ქართულ ენაზე დაიწყო. ეს მაგალითს აძლევდა მთლიანად რეგიონს — როგორ უნდა სცე პატივი მშობლიურ ენას და როგორ უნდა იბრძოლო იმი-

სათვის, რომ სწავლება შენს მშობლიურ ენაზე განახორციელო. ივანე ჯავახიშვილმა ყველაფერი გააკეთა — ყველა საგანმანათლებლო მიმართულებით ტერმინოლოგიის შემუშავებაზე უზრუნველყო, რამაც კიდევ უფრო გაამძივრა ქართული ენა. დღეს, თუკი უპრობლემოდ შეგვიძლია მშობლიურ ენაზე სრულყოფილად კვლევა, სწავლება და სწავლა, ეს დამსახურებაა თბილისის უნივერსიტეტისა და იმ იდეისა, რომელიც ჩადებულ იყო ამ უნივერსიტეტის დაფუძნებაში.

მეორე ფუნქცია, რომელიც ჰქონდა უნივერსიტეტს, რაც მალევე დადასტურდა, ეს იყო საქართველოს გამაერთიანებლის, შემკვრელის ფუნქცია. უნივერ-

სიტეტის გახსნის ისტორიას თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ მის დასაარსებლად შემომწირველები იყვნენ როგორც ქართველები, აფხაზები და ოსები, ასევე საქართველოში მცხოვრები სომხები, აზერბაიჯანელები, პოლონელები, ებრაელები... ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ აფხაზური და ოსური ენების განვითარებასა და შესწავლაზე ზრუნვა უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა დაიწყეს. ამ საქმეს, ივანე ჯავახიშვილის თხოვნით, გიორგი ახვლედიანი ჩაუდგა სათავეში. ამას გარდა, უნივერსიტეტმა იტვირთა ისიც, რომ კავკასიოლოგიის კერად ჩამოყალიბებულიყო, რამეთუ თბილისი მამინ კავკასიის კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი გახლდათ. წლების განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიიდან ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო აქ განათლება და ეს კონტაქტები დღემდე არსებობს.

უნივერსიტეტი ყოველთვის და ყველგან იყო იქ, სადაც ქართული საქმე კეთდებოდა — გავისხენოთ საქართველოს ეროვნული გმირი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის 19 წლის სტუდენტი მარო მაყაშვილი, რომელიც 1921 წელს მოხალისედ წავიდა ფრონტზე, წითელ ჯვარში ჩაეწერა მოწყალეების დად და თბილისის მისადგომებთან დაიღუპა; 1921 წელს საქართველოს ანექსიის შემდეგ ეჭვითა და თაყაიშვილის — „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის“

მეორე საქართველოს განძის ისტორიულად განსაკუთრებით ღირებული ნაწილის გადარჩენა და შემდეგ სამშობლოში დაბრუნება. გავისხენოთ 1978 წელი — ქართული ენის დაცვისთვის უნივერსიტეტში წამოწყებული ფართომასშტაბიანი მოძრაობა, შემდგომ ეროვნული მოძრაობის ფლაგმანობა. უნივერსიტეტს ეს ფუნქცია დღემდე აკისრია და ქართული ეროვნული ინტერესების სადაზღოვანება მუდმივად.

ასე რომ, იმ მრავალ ფუნქციასთან, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარსულმა, აწმყო და მომავალმაც შესძინა, მთავარი განსაკუთრებული ალბრდაა. ეს მისია უნივერსიტეტს დაარსებიდან აკისრია და დღემდე ვინარჩუნებთ ამ ტრადიციას. ის მოსაზრება, რომ უნივერსიტეტის მთავარი ფუნქცია მხოლოდ სტუდენტის მომავალი დასაქმებისთვის მომზადებაა და ფიქრობენ, რომ პიროვნების მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის ოჯახმა, სკოლამ და ბაღმა უნდა იზრუნოს, არასწორად მიმაჩნია. ვფიქრობ, თითოეულ ახალგაზრდას, მისთვის ხარისხიანი განათლების მიცემის გარდა, ჩვენ მოქალაქეობრივი ხედვა, სამოქალაქო პოზიციების ჩამოსაყალიბებლად საჭირო უნარები, კრიტიკული აზროვნება, სოციალური პასუხისმგებლობის ტრენინგები, კვლევის ინტერესი უნდა განვუვითაროთ.

ისტორიული გადაწყვეტილება — უნივერსიტეტის საზოგადოების აღდგენა — უნივერსიტეტის განვითარებაზე ზრუნვას ისახავს მიზნად

„ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“, რომელმაც საუკუნის წინ კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსება განაპირობა, 1917 წელს შეიქმნა. საზოგადოება ორი მიმართულებით მუშაობდა — 1) ინტელექტუალური შრომა, რომელიც განსაზღვრავდა — ვინ უნდა ყოფილიყო მოწვეული პირველ ქართულ უნივერსიტეტში, ვის რა საგანი უნდა წაეკითხა და ა.შ. და 2) ფინანსების მოძიება.

საზოგადოებას მრავალი, არაერთი წევრი შეემატა. საარქივო დოკუმენტებში შემონახულია მონაწილეთა სია, ვინაობა, მათ მიერ შემოწირული თანხა და ა.შ. დადგენილი იყო, რომ საზოგადოების წევრობისთვის ერთჯერადად იხდებინათ 300 მანეთს და შემდეგ ყოველწლიურად 25 მანეთს.

ზუსტად 100 წლის შემდეგ, 2017 წლის 15 დეკემბერს, თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის ინიციატივით, აღდგა „ქართული უნივერსიტე-

ტის საზოგადოება“, რომელიც უნივერსიტეტის განვითარებაზე ზრუნვას ისახავს მიზნად. საზოგადოება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და მის მხარდამჭერებს გააერთიანებს. მას ცნობილი ქართველი მეცნიერი, ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ-ის მოწვეული პროფესორი ზაალ კოკაია უხელმძღვანელებს.

გიორგი შარვაშიძე, თსუ-ის რექტორი:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალ კურსდამთავრებულს მუდამ ჰქონდა და დღესაც აქვს სურვილი თავისი წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის განვითარებაში. სწორედ ამიტომ აღვადგინეთ „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“. ამით მოხდება კურსდამთავრებულთა მობილიზება საჭირობოროტო საკითხების გადასაწყვეტად და აღდგება მათი კავშირი ალმა მატერთან.

უნივერსიტეტის საზოგადოების მეშვეობით მოხდება ნიჭიერი სტუდენტების დახმარება, წარჩინებული სტუდენტების წახალისება სტიპენდიებით, ვიზრუნებთ კვლევით და სასწავლო სივრცეების მოწესრიგებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე... მთავარი მაინც იდეაა, რომ შემოვიკრიბოთ გარშემო კურსდამთავრებულები — ჩვენ ერთად უნდა ვაკეთოთ ქართული საქმე და ეს საქმე უნივერსიტეტზე ზრუნვაა. ჩვენ არ ვართ მდიდარი ქვეყანა, არ გვაქვს არც ნავთობი, არც გაზი, მაგრამ გვაქვს უფრო მთავარი — ინტელექტი, რითაც ყოველთვის გამოვიჩნეოდით. სწორედ ამას სჭირდება სათანადოდ გამოყენება, თანაც სასწრაფოდ. ამდენად, ვვარაუდობთ, რომ ეს გაერთიანება და დიდი მიზნების დასახვა არის ჯანსაღი და სწორი გზა. დიდი სიახლოვებით ჩავრთავთ კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ცვლილებაში და მმარ-



„უნივერსიტეტის საზოგადოების“ წევრთა ხელმოწერა

თველობაშიც მივალბინებდი მონაწილეობას, რადგან უნივერსიტეტის წინსვლაზე ზრუნვა საქართველოს თითოეული მოქალაქის მოვალეობაა. ამ საზოგადოების ერთ-ერთი ფუნქციაა, ასევე, არის დამსაქმებლებთან, ბიზნესმენებთან ურთიერთობა

და მჭიდრო თანამშრომლობა, რაც დიდი და სამომავლო ამოცანების გადაწყვეტაში დაგვეხმარება. აი, ეს არის უნივერსიტეტის ხვალისდელი დღე.

მომზადდა
ნიკო კაპულიანი

ბიძინა ივანიშვილისა და „ქართუ ჯგუფის“ ხელუხადებით უნივერსიტეტს ისტორიული არქიტექტურული სახე დაუბრუნდა



„გულცივი ადამიანი ვერ გააკეთებს ვერასდროს დიდ საქმეს; უნდა უყვარდეს ყოველ მათგანს თავისი ხალხი, უნდა უყვარდეს მეცნიერებას, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ შეაღოს თავისი ძალა მეცნიერებასაც და ხალხსაც“, — ამ სიტყვებით მიაგო პატივი ივანე ჯავახიშვილმა იმ ადამიანთა თავდადებას ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე, რომლებმაც პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსება-

ში უდიდესი წვლილი შეიტანეს.

მას შემდეგ 100 წელი გავიდა. ამ კვდებმა ზიდეს ქართული ერის ტკივილიც და სიხარულიც, დამოუკიდებლობის სურვილიც და თავისუფალი აზრიც. დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალი ამოცანების წინაშე დგას. მისი მიზანია გახდეს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ღირსეული ნაწილი, რაშიც დახმარებას უწევს ერისა და ქვეყნის სიყვარულით გუ-

ლანთებული ადამიანები. სწორედ ასეთ ქველმოქმედად მოველინა საქართველოს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ცნობილი ქართველი მეცენატი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და თავის მწირ საგაზეთო ინტერვიუებში ყოველთვის ხაზგასმული სიტყვებით იხსენებს უნივერსიტეტში გატარებულ წლებს.

ბიძინა ივანიშვილის კეთილი ნებით, მისი ინიციატივითა და „ქართუ ჯგუფის“ ხელშეწყ-

ობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის სრული რეაბილიტაცია ჯერ კიდევ 2012 წელს დასრულდა. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს მხოლოდ გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. რემონტის შედეგად დაამახინჯდა შენობის პირვანდელი არქიტექტურა. ბატონი ბიძინას და „ქართუ ჯგუფის“ ხელშეწყობით კი უნივერსიტეტს დაუბრუნდა ისტორიული არქიტექტურული სახე.



სახელმწიფო, რომელმაც საუნივერსიტეტო იდეას ხორცი შეასხა

საქართველოში უნივერსიტეტის დაფუძნებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მათი ერთ-ერთი არაგუმენტი, თუ რატომ ვერ შეძლებდა ქართველი ხალხი უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის დაარსებას, გარდა იმპერიული ზრახვებისა, იყო ის, რომ ქართულ ენაზე არ არსებობდა სამეცნიერო ტერმინოლოგია და ქართველებს არ ჰყავდათ საკმარისი რაოდენობით მეცნიერები, რომლებიც სტუდენტებს საუნივერსიტეტო ცოდნას მისცემდნენ. სწორედ ამ წინააღმდეგობის დაძლევა იყო უნივერსიტეტის დაფუძნების (ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, გრიგოლ გველესიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ წერეთელი, აკაკი შანიძე, ანდრია რაზმაძე, იოსებ ყიფშიძე, კორნელი კეკელიძე, პეტრე მელიქიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი) მთავარი საზრუნავი. ისე მოხდა, რომ სწორედ ისინი გახდნენ შემდგომში სხვადასხვა სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლებიც.



უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, 1926 წ.

კლასიკური ფილოლოგია და ენათმეცნიერება, ასევე დაუდო სათავე ემპირიულ სოციოლოგიას, ალექსანდრე ნათიშვილთან ერთად შექმნა ანატომიის ქართული ტერმინოლოგია. ერთი ადამიანისთვის ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ქართველ სწავლულთა და მეცნიერთა საქვეყნო და ეროვნული საქმისადმი თავდადება. მათი არაადამიანური ძალისხმევით, უნივერსიტეტის დაარსებიდან სულ რამდენიმე წელში, საქართველოში უკვე არ-

სებობდა მძლავრი და დღეს უკვე საქვეყნოდ აღიარებული სამეცნიერო სკოლები: მათემატიკის (ანდრია რაზმაძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეჯუა, ვიქტორ კუბარაძე, არჩილ ხარაძე, ანდრია ბინაძე და სხვ.), ფიზიკის (რაჟდენ სუციშვილი, ელევფერ ანდრონიკაშვილი, მათე მირიანაშვილი, ვაგან მამასახლისოვი, გივი სუციშვილი და სხვ.), ქიმიის (პეტრე მელიქიშვილი, შალვა ცინცაძე, პეტრე ქომეთიანი და სხვ.), ფსიქოლოგიის (დიმიტრი უზნაძე, რევაზ ნათაძე, ბარნაბ ხაჭაპურიძე,

ნინო ადამაშვილი და სხვ.), ფიზიოლოგიის (ივანე ბერიტაშვილი, დიმიტრი გედევანიშვილი და სხვ.), ისტორიოგრაფიის (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერიტაშვილი, შოთა მესხია, ვარლამ დონდუა და სხვ.), ლიტერატურათმცოდნეობის (კორნელი კეკელიძე და სხვ.), ქართული ფილოსოფიის (შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, მოსე გოგიბერიძე და სხვ.), ხელოვნებათმცოდნეობის (გიორგი ჩუბინაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიშვილი, შალვა ამირანაშვილი და სხვ.), ქართული ენათმეცნიერების (აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კარპეზ დონდუა, ვარლამ თოფურია და სხვ.), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების (არნოლდ ჩიქობავა, ქეთევან ლომთათიძე და სხვ.), კლასიკური ფილოლოგიის (გრიგოლ წერეთელი, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვ.), აღმოსავლეთმცოდნეობის (გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია, მაკარ ხუბუა, ვლადიმერ ფუთურიძე, ვალერიან გაბაშვილი, კონსტანტინე წერეთელი, მზია ანდრონიკაშვილი და სხვ.), გეოგრაფია/ანთროპოლოგიის (ალექსანდრე ჯავახიშვილი), მორფოლოგიური მეცნიერების (ალექსანდრე ნათიშვილი), გეოლოგია/მინერალოგიის (ალექსანდრე თვალჭრელიძე).

სწორედ მათ განავითარეს საქართველოში უნივერსიტეტის იდეა, რომელიც დღეს უკვე 100 წლისაა და მზადაა — საუკუნეებს გაუძლოს.

ასწავლის მძიმა გახვითილაბი...

დედაუნივერსიტეტი XX საუკუნის ისეთივე პირშია, როგორც სვეტიცხოველი XI საუკუნისა და გელათი XII საუკუნისა. ჩვენი უნივერსიტეტიც სახეა ეპოქისა, როგორც ყველა ეროვნული ძეგლი... მასაც არაერთი ძნელებდობის ჟამი ჰქონია... ამ მცირე საგაზეთო წერილში ორ უმთავრეს პერიოდზე მინდა შევანერო ყურადღება; ორივე შემთხვევაში დედაუნივერსიტეტის ეროვნულობა, ქართული საქმის თავკაცობა იყო მიზეზი მოძალადეთა მტრული დამოკიდებულებისა... და ყოველივე ეს სამომავლო გაკვეთილად რომ გამოგვადგეს, ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ... უფრო კონკრეტულად: ივანე ჯავახიშვილი და მისმა გუნდმა თავიდან „თავისუფალი უნივერსიტეტი“ ჩაიფიქრეს; 1917 წლის 22 ივნისს ივანე ჯავახიშვილის წინადადებით სიტყვა „თავისუფალი“ შეცვალეს სიტყვით „ქართული“. ამით მოხდა ხაზგასმამომაველი უნივერსიტეტის მიზნებზე, ინტერესებზე, სულსკვეთებაზე. აღნიშნა კიდევ ქართული უნივერსიტეტის პირველმა რექტორმა, საქვეყნოდ ცნობილმა ქიმიკოსმა პეტრე მელიქიშვილმა თავის სუფესიტყვაში 26 იანვარს: ჩვენი უნივერსიტეტის უმთავრესი მიზანი ქართული საქმის მსახურება იქნებაო!.. სწორედ ამ ქართულ იდეამ, ეროვნულობამ განაწყო მტრულად რუსეთის იმპერია ქართული უნივერსიტეტის იდეისადმი და ამიტომაც წინააღმდეგობოდნენ გააფთრებით მის დაარსებას...

სამსჯავრო მოუწყვეს. ამჯერად რექტორი კ. ორაგველიძე ერთგულად ასრულებს ხელისუფლების დავალებას... თავგამოდებით აქტიურობენ „ნითელი პროფესორები“, ახალგაზრდა ბოლშევიკები (სტუდენტები, ასპირანტები)... უმძიმესი რეპრესიების ხანაა... დაბეზვებები, დაჭრებები, დახვრებები, უნივერსიტეტიდან გაყრა...

ისტორიას განმეორება სცოდნია...

მაინც გადარჩა უნივერსიტეტი; გაუძლო ამ ძნელებდობას; აღდგა მკვდრეთით... ნელ-ნელა მოიკრიბა ძალა... მძლავრობს მკვიდრი საფუძველი: ისევ ეროვნული სულსკვეთებით, ინტერესებითა და მიზნებით გაგრძელდა საუნივერსიტეტო ცხოვრება... კომუნისტურმა ხელისუფლებამ თითქოს დაგმო 20-30-იანი წლების რეპრესიები, მაგრამ, როგორც ჩანს, ფორმალურად: პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის სურათების გვერდით დაჰკიდეს თედო ლლონტის, კარლო ორაგველიძის, მაღაქია ტოროშელიძისა და სხვათა სურათები... ეს, ფაქტობრივ, შესხენება-გაფრთხილება იყო: ისინი სახელმწიფოს დავალებას ასრულებდნენ... სახელმწიფო კი იგივე იყო... 50-იანი წლებიდან თბილისის უნივერსიტეტმა მოიგდა წელი და იქცა ქართულ საზოგადოებაზე ზემოქმედე-

ბის ერთ-ერთ უმთავრეს ძალად, ყოველივე ქართულის თავკაცად, ეროვნული მოძრაობის მედროშედ... გავიხსენოთ 1956 წლის მარტის მოვლენები; 1978 წლის აპრილი; გასული საუკუნის 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის აღმავლობა...

ყოველივე ამან მძიმე საფიქრალი გაუჩინა ხელისუფლების სათავეში მოსვლის ჟინით შეპყრობილ ახალ თაობას... და 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ფიქრი, როგორ ჩაეგდოთ ხელში ხელისუფლება და აეღოთ საზოგადოების მართვის სადავეები... წარმატებულად აითვისეს ბოლშევიკების გამოცდილება (ამიტომ ნეობოლშევიკებიც უნოდეს მათ)... 2003 წელს ხელისუფლებაში მოსული „ნაც-მოძრაობის“ შეტევა დედაუნივერსიტეტის წინააღმდეგ უფრო მასშტაბური, უფრო დამანგრეველი, უფრო „შედეგადანი“ იყო, ვიდრე ნამდვილი ბოლშევიკებისა... მოჩვენებითი რეფორმა თითქოს მთელ საუნივერსიტეტო სივრცეს შეეხო, მაგრამ საგანგებოდ გაიწირა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი... ერთი კონკრეტული მაგალითი: თუ სხვა უნივერსიტეტებში „ოპტიმიზაციის მიზნით“ პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა შემცირდა 3-4 %-ით, დედაუნივერსიტეტიდან დაითხოვეს 81%... ზემოთს უკანონობა, უსამართლობა; ჩატარდა „პოლიტიზირებული“ კონკურსები (2006, 2009, 2012 წლებში)... პროცესებს განათლების მინისტრის კახა ლომაიას და მამინდელი რექტორის მეშვეობით

მართავენ „რეფორმატორები“... „ხული-გან“ პროფესორებს ასამართლებენ... და შეძლო ხელისუფლებამ მართვის სადავეების ხელში აღება... ისევ გაჩნდნენ „ვარდისფერი პროფესორები“, „ნეო-კომკავშირელები“ და „დამშვიდდა“ უნივერსიტეტი...

საუკუნოვანი ქართული უნივერსიტეტის ისტორიაში ეს ორი უმძიმესი პერიოდი არ უნდა დავივიწყოთ; უნდა მოხდეს ამ პროცესების სამართლებრივი და მორალური შეფასება; თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი აღარ განმეორდეს... რათა დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მისი ერთგული თანამებრძოლების დაფუძნებული და ნალოლიავები ქართული უნივერსიტეტი ისევ ეროვნული სულსკვეთებითა და ინტერესებით ემსახუროს ქართულ საქმეს!

დედაუნივერსიტეტის რექტორის პოზიცია

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი-სადმი“ მიცემულ ინტერვიუში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი მიხეილ ჩხენკელი უნივერსიტეტში ჩასატარებელი მომავალი კონკურსების თემასაც შეეხო: „კონკურსანტებს შორის შეირჩევა ღირსეული და ვაკანსიებს დაიკავებენ პროფესიონალები. ჩვენ წლების წინ ბევრი კარგი სპეციალისტი დაკარგეთ და დღეს ისინი კონკურენტ უნივერსიტეტებში მუშაობენ, თუმცა აქვთ სურვილი — დაბრუნდნენ. როცა ისინი დაინახავენ, რომ კონკურსი გამჭვირვალე და ობიექტურია, შემოიტანენ საბუთებს ამ კონკურსში. მთავარია მთელმა საზოგადოებამ ირწმუნოს, და ეს რწმენა უნდა იყოს რეალურად დაფუძნებული, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონკურსები ტარდება ობიექტურად, ისე, როგორც ეს შეესაბამება და ეკადრება ჩვენს უნივერსიტეტს“.

ამ ინტერვიუს მიცემისას ბატონი მიხეილ ჩხენკელი დედაუნივერსიტეტის პრორექტორი იყო. ესაა აღიარება იმისა, რაც მოხდა უახლოეს წარსულში და გაჩნდა სურვილი მდგომარეობის გამოსწორებისა... და ეს სამართლიანობის აღდგენის იმედსაც იძლევა...

პირველი ასწავლის ძნელებდობა იყო გაკვეთილი უნდა იყოს მეორე ასწავლისათვის!.. ბედნიერი იყოს მეორე ასწავლის დედაუნივერსიტეტისათვის!..

გიორგი გომოლაშვილი



უნივერსიტეტი – 2018

კვლევის არეალი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისას, 1918 წელს, მხოლოდ ერთი — სიბერძნისმეტყველების ფაკულტეტი გაიხსნა, რომელზეც 369 სტუდენტი ირიცხებოდა და 7 პროფესორი, 5 პროფესორის მოადგილე, 2 მეცნიერ-ხელმძღვანელი და 3 ლექტორი მოღვაწეობდა. დღეს, 100 წლის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-შია (The U.S. News & World Report) და ფლობს 13 სასწავლო კორპუსს (მათ შორის 2 ისტორიული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე).

უნივერსიტეტის 7 ფაკულტეტზე (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, მედიცინის ფაკულტეტი) გახსნილია 67 საბაკალავრო, 95 სამაგისტრო და 51 სადოქტორო პროგრამა. გარდა ამისა, მუშაობს 19 პროფესიული და 3 ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები (მედიცინის ფაკულტეტზე). უნივერსიტეტში, ასევე, ფუნქციონირებს მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტებისთვის.

სულ, დღეს, უნივერსიტეტში 22000-მდე სტუდენტი ეუფლება უმაღლეს განათლებას, მათ შორის, 600-მდე საერთაშორისო სტუდენტი. ამ დროისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სულ 705 აკადემიური პერსონალია დასაქმებული — 158 პროფესორი, 371 ასოცირებული პროფესორი და 176 ასისტენტ-პროფესორი.

100 წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობამ 300 000-ს გადააჭარბა.

დღეისათვის უნივერსიტეტი, ასევე, ფლობს სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებს. სულ ახლახან უნივერსიტეტის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ევროპული სტანდარტების 320-ადგილიანი სტუდენტური საცხოვრებელი კომპლექსი გადმოეცა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში 16 დარგობრივი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი შედის. მათ შორის გამორჩეულია ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, ელფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი და სხვები, რომლებმაც დიდი ხანია საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებენ, განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოში ბიო-სამედიცინო სფეროს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისა და ამ დარგების სპეციალიზაცია დახელოვნების აღიარებული ლიდერი ორგანიზაციაა. ინსტიტუტი, წლების მანძილზე, სისტემურად იკვლევს ექსპერიმენტული და კლინიკური პათოლოგიის აქტუალურ საკითხებს, ხოლო მის შემადგენლობაში არსებული გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტი — გერონტოლოგიის, სოციალური დემოგრაფიისა და პალიატიური მედიცინის პრობლემებს. ამჟამად ინსტიტუტი მუშაობს ორ პროექტზე, რომელთაგან ერთი მოიცავს გულის უეცარი გაჩერების დროს ხელოვნური ტუმბოს ამოქმედებას და, რეანიმაციის უზედგობის შემთხვევაში, ხელოვნური სისტემური სისხლმიმოქცევის გაგრძელებას, ხოლო მეორე პროექტი — „ბოლომდე ღირსეული სიცოცხლე“ — მიმართულია მოხუცთა სოციალური, სამედიცინო, ეთიკური პრობლემების იდენტიფიკაციისა და რეკომენდაციების შემუშავებაზე პალიატიური მზრუნველობის ეროვნული პროგრამისათვის.

ასევე უნდა გამოიყოს თსუ-ის მაღალი ენერჯების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის სამეცნიერო თემატიკა, ძირითადად, სრულდება საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ისეთ სამეცნიერო ცენტრებთან, როგორცაა დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი (დუბნა, რუსეთი), ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი

(CERN; ჟენევა, შვეიცარია) და იულისის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (იულიხი, გერმანია).

სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს მჭიდრო კავშირი აქვთ თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან და ჩართული არიან როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო პროგრამებში.

თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორიები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 85 დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულია, მათ შორის: SmartLab, ბლუმბერგის ლაბორატორია, სან-დიეგოს უნივერსიტეტის მიერ მოდერნიზებული ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, მულტიმედია ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა, არქეოლოგიური კვლევების ბაზა გრაკლიან გორაზე, სახვითი ხელოვნების სტუდია და ა.შ.

ბოლო პერიოდში, საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად, რამდენიმე თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორია გაიხსნა, მათ შორის უნდა გამოვიყოს ატმოსფერული კვლევების საერთაშორისო სტანდარტების SMART/AtmoSim ლაბორატორია, რომელიც იულისის (გერმანია) კვლევითი ცენტრის ენერჯებისა და კლიმატის ინსტიტუტის ტროპოსფეროს (FZJ IEK-8) ლაბორატორიისა და თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლობის საფუძველზე გაიხსნა. ლაბორატორია სპეციალიზებულია ატმოსფეროს კვლევებზე, რომელიც მოიცავს ატმოსფეროს ქიმიურ ანალიზს, ასევე შედეგების მათემატიკურ დამუშავებას და ატმოსფეროს მდგომარეობის მათემატიკური მოდელის შექმნას. ლაბორატორიაში მუშაობენ სამივე საფეხურის სტუდენტები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პაერის ნიმუშების აღებაში, ანალიზსა და მათემატიკური სიმულაციების შედგენაში.

2015 წლის დეკემბრიდან თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კიდევ ერთი — სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინჟინერიის ამუშავდა. FabriCity Laboratory (FabLab) — ეს არის სრულიად

ახალი, უნიკალური სივრცე ნებისმიერი სტუდენტისათვის, რომელთაც აქვთ იდეა და სურთ მისი განხორციელება ან Start-Up-ბიზნესად ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს იდეების გვერდობას და აძლევს სტუდენტებს წინსვლის პერსპექტივას თანამედროვე გარემოში. ამ სივრცეში ხდება ახალი ნამოწყებების სრულყოფა და ახალგაზრდა ინოვაციების იდეების რეალიზება. ფაბლაბი ალტურვილია იმ აპარატურული ციკლით, რომლის ანალოგებიც არის მასაჩუსეტისის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში — MIT-ში.

ნიგნადი ფონდი


Along with this, it is of no doubt, that the salary policy needs to be revised; upon this we are currently working along with the Ministry of Science and Education. The university budgeting system ought to be altered completely and, as we expect, the university is going to be the first education establishment having

started not only reflecting upon the ways of changing the budgeting system but also applying practical efforts to it. We expect this to allow us to better develop and strengthen many things – such as stocks, laboratories, buildings, etc. It is imperative that students are motivated to become good scientists.

In the end, we have become ready to commence an authorization process in 2018. With this in view, foreign experts have already assessed a couple of directions, including several doctoral programmes in order to single

out strong and weak sides and, I feel gratified to note, – the strong sides occurred to be prevalent. Also, I would say that the university academic programmes at international level number already 22 and are fully functional. Now, we are trying to do away with all the vulnerable sides in order to be accredited. In 2019, the university shall have several programmes accredited by the Agency of Programmed Accreditation Technologies (ABET), which is good news.

The material was prepared by Nino Kakulia



SCIENTIFIC ACHIEVEMENTS

Maia Toradze

WHEN DID FOREIGN PROFESSORS BEGIN TO READ LECTURES AT TSU?

On the centenary of its founding, Tbilisi State University can take pride in keeping its founders' legacy alive and continuing their deeds – it is still the leading university in Caucasus region in terms of the quantity and quality of scientific research papers. It is a native university for a number of world-famous scientists who started their career at Tbilisi State University. Physicist Gia Dvali, Director of Max Planck Institute (Germany), considers Tbilisi State University as his Alma Mater, and Zaal Kokaia, Professor of Lund University (Sweden) has recently become a head of University Society which intends to contribute to the development of the University.

TOP PERFORMANCE REFLECTED IN STATISTICS

Currently, more than 200 (national and international) research projects are being implemented in fundamental and applied disciplines of Tbilisi State University (most


of the grants funded by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia), providing vital support for developing science and technology.

Since 2017, Tbilisi State University has had impressive results in state scientific grant competition for fundamental research funded by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia: out of 86 funded projects, 45% was from Tbilisi State University.

Traditionally, young researchers of Ivane Javakhishvili Tbilisi State University continue to be distinguished leaders in different competitions. Only in 2017, Tbilisi State University MA students authored 15 (50% of winning projects) out of 30 projects winning the Education Research Scholarship Competition of Master students, funded by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

Tbilisi State University maintains a leading position according to the results of Education Research Scholarship Competition of PhD students, as well - out of 40 projects funded, 14 were from Tbilisi State University (35% of the funded projects).

The same applies to funding the young scholars' grant programs. Young scholars of Tbilisi State University authored most of 23 projects winning the competition (26% of the funded projects).



A book published by Cambridge University Press, co-editor Alexander Tsiskaridze

SCIENTIFIC PUBLICATIONS

Particular emphasis should also be placed on scientific research contracted by Tbilisi State University, as it is an obvious indicator for making contribution to integration of research and economics: 163 contracted works were implemented in

2015; the number of such works was 177 in 2016 and reached 200 in 2017. Besides, as Scopus reports, Tbilisi State University has published up to 100 publications in cooperation with industry.

Per Scopus data again, the publications from Tbilisi State University, issued in highly ranked periodicals, is increasing. From 2011 to 2017 3 204 publications were issued on behalf of Tbilisi State University. Research activities of Tbilisi State University, in terms of publications as well as implemented projects, are tightly linked to top universities and scientific centers in the world (as Scopus reports, joint publications are published together with more than 150 international collaborators; besides, up to 3000 foreign scientists are involved in the joint researches).

It is also worth mentioning that Tbilisi State University professors increasingly publish monographs and textbooks abroad. For instance, Treatment-Related Stroke by Alexander Tsiskaridze, Vice-Rector of Tbilisi State University, Professor of Department of Neurology and Neurosurgery, was published by Cambridge University Press (Great Britain) (co-authors of the book are Arne Lindgren, Professor of Lund University (Sweden) and Adnan I. Qureshi, Professor of Minnesota University (USA)).

INTERVIEW

AN INCREASING SCIENTIFIC POTENTIAL OF TSU

What are the scientific-research prospects of Tbilisi State University and what may its role be in the world scientific community. Professor Alexander Tsiskaridze, Vice-Rector for Science, comments:

– Mr. Tsiskaridze, do you believe that Tbilisi State University maintains the course of European education laid in the foundation of University by its founders?

– The university founders, educated in Europe themselves, are actually our contemporaries as far as their views on university development were largely beyond the local thinking. They were aware that science is global and therefore, considered the need for the science and research-based teaching as essential component in the university charter.

Foresights of University founders have already come true – a modern university which claims to be globally acknowledged, must definitely be a research institution. A lot has been done on this direction during the recent years. First and foremost, it is essential that we have appeared in the most prestigious international ranking system – Times Higher Education, according to which, we are among the top one thousand universities around the world. This indicator is not bad, really, and the scientific work conducted at the university has a big share in it.

– Which spheres of research would you single out to be of international quality at university?

– All the disciplines have the projects like this, but the Faculty of Exact and Natural Sciences is distinguished. The studies

conducted at the faculty are increasingly acknowledged by international scientific community. Compared to previous years, a number of articles published in international scientific impact factor journals has considerably increased. This is quite a good indicator.

For this purpose, incorporating of scientific-research units with Tbilisi State University is of great importance, as well. Having very high potential for research they are staffed with high level scientists, whose activities on behalf of University makes the prospects even better.

In addition, we should focus on our scientists being prestigious among international scientific and academic circles. They have an impressive indicator of scientific activity. Even the famous and top universities would be proud of such indicators. We should specially distinguish the scientists working in European Organization for Nuclear Research, and involved in several experiments (ATLAS; CMS).

The main point is that the scientists of Tbilisi State University are largely involved in international collaboration and projects, and their share is increasing. Currently up to 3000 foreign scientists work together with the researchers of Tbilisi State University.

– The quality of scientific research paper is often determined by the significance of the journal itself. How big is the chance for the scientists of Tbilisi State University to publish their papers in top level journals issued by Tbilisi State University? Does the university edit such journals?

– We have some though the number is not impressive.



Alexander Tsiskaridze

The TSU periodicals indicate the level of support and productivity of scientific researches indexed by Scopus or ERIH PLUS. In particular, two journals of I. Vekua Institute of Applied Mathematics of Tbilisi State University (Bulletin of TICMI and Lecture Notes of TICMI) as well as Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics - journal of A. Razmadze Mathematical institute are Scopus indexed journals; on the other hand, Sjani (Thoughts) – journal of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, the Economist – journal of Paata Gugushvili Institute of Economics are ERIH PLUS indexed. As for Transactions of A. Razmadze Mathematical Institute – journal of A. Razmadze Mathematical institute, it is contained in Science Direct platform of Elsevier.

– Which scientific discovery and research has attracted the attention of world scientific community recently?

– There are many of them, but the most distinguished one is the archeological excavation of Grakliani Hill in Kaspi re-

gion of Georgia. The matter is that two different writings were found in a small temple site of the tenth century BC. This date is very early in terms of writing and correspondingly, it raised lots of questions and a number of historical issues were set forth. This fact and the discovered materials may change the historical narratives about eastern Georgia, in particular the narratives about Kartli.

It should be noted that some of our scientists have been nominated as the best scientists of Georgia for the last two years. In 2016 it was Bezhan Chankvetadze. In 2017 Leval Tielidze, a young scholar of Tbilisi State University Institute of Geography was nominated as the best scientist in Georgian studies. A team of Georgian physicists of Tbilisi State University including Ramaz Lomsadze, Malkhaz Gochitashvili, Roman Kezerashvili and Nugzar Mosulishvili, was acknowledged as the best scientific research team of 2017.

Recent trends observed at Tbilisi State University evidence that we have even more potential to reach higher pinnacles of science. We should never be satisfied with what we have already achieved. Local scientific traditions and schools are important and they should be maintained at all costs. However, limiting ourselves only to these achievements will surely lead to stagnation. We should seek new directions in scientific research, as well as potential foreign partners (as far as the modern science is multinational and it goes beyond any borders) and the joint research studies must be planned in cooperation with them. This is the way for the development of advanced science that Tbilisi State University should follow.



THE POSITIONS OF TSU ACCORDING TO DIFFERENT SYSTEMS OF RANKINGS OF WORLD TOP UNIVERSITIES

Ivane Javakhishvili Tbilisi State University was ranked the 359th position in the U.S. News & World Report (Clarivate Analytics) rankings of the world top universities in 2017, i.e., it was included in 2% of the world top universities.

According to the data of 2017, Tbilisi State University joined the top 500 universities of the world in ShanghaiRanking's

Global Ranking of Academic Subjects, and the field of Physics at TSU gained N 151-200 position in ShanghaiRanking's Global Ranking of Academic Subjects.

As stated by the information provided by Times Higher Education World University Rankings of the previous year (2016), 980 top universities were selected where TSU was ranked number 801+ position.



INTERNATIONAL RELATIONS AND ASPECTS OF COOPERATION WITH PARTNER UNIVERSITIES

Tamar Dadiani

WHEN DID FOREIGN PROFESSORS BEGIN TO READ LECTURES AT TSU?

From the first years of establishment of the Tbilisi State University the founders of the university tried to gain support from the International University Community and gain its place on the world arena.

The well-known European high institutions also invited TSU delegations at the jubilee or scientific events. Yet in 1924, Professor Grigol Tsereteli was invited and attended the 700th anniversary of the University of Naples. He, in the name of the Tbilisi University handed congratulation message prepared by Painter I. Sharleman to their Italian colleagues.

In the first years of its existence, the founders of the University decided to invite European scientists to Tbilisi State University. In 1919, the Council of Professors unanimously approved the request of the Faculty of Rhetoric – to invite an American orientalist, specialist in Georgian studies, deputy professor R.P. Blake to the Department of Byzantine history. Blake, who had expressed willingness to serve in the newly established Georgian university. For a short time he delivered lectures in the History of Byzantium and in the Greek language.

In 1920, at the TSU Professors' Council meeting the issue was brought up to invite the well-known professors from European leading universities, including: Professor Jean L. Jero; from Clermont University; Doctors: Alexander Nathanson, E. Oethel, Gustav Hase, Max Müller; Professors from Tubingen University: Richard Fogel, Prell and others. Besides Blake, who studied with Niko Mari and Ivane Javakhishvili. No foreigners could come.

Under the agreement the invited professors took on obligation to deliver lectures in a foreign language (with assistance of translator) at Tbilisi State University for 2 years. But after two years, at the request of Rector Ivane Javakhishvili, they were obliged to read a lecture in the state language, in Georgian language.

SCIENTIFIC CONTACTS WITH FOREIGNERS

The scientific contacts of Tbilisi State University with foreigners became especially active since the 60s of the 20th century. In 1968 the Department of Scientific and Cultural Relations with Foreign Countries was founded at the University, which in 2005 was established as a separate administrative unit – TSU department of Foreign Relations. The priority of its activities is to make close contacts between TSU and the world universities, scientific-research and educational centers, which, mostly are implemented through joint projects and exchange programs of students, young scientists, professors. Accordingly, the Department is a mediator, through which the university is linked to the outside world, which is vital for any high educational institutions in the age of globalization.

Tea Gergedava, Head of TSU Department of Foreign Relations is talking about the partnership with international educational and scientific institutions.

"The first international partner of the University is the Friedrich Schiller University Jena (Germany), with which the Memorandum of Cooperation was signed 52 years ago. Since then, TSU constantly tries to attract international partners and by today, we have signed a bilateral cooperation agreement with 180 higher education institutions of 50 countries. These countries are: Austria, Azerbaijan, Albania, Argentina, USA, Belarus, Germany, Russia, Spain, Estonia, Turkey, Japan, India, Indonesia, Iran, Ireland, Israel, Italy, Cyprus, Colombia, South Korea, Latvia, Lithuania,

Luxembourg, Moldova, Macedonia, Malaysia, Norway, Poland, Portugal, Romania, Greece, South Africa, France, Syria, Armenia, Ukraine, Hungary, Kazakhstan, Qatar, Sweden, Switzerland, Czech Republic, China, and Holland.

It's difficult to distinguish one or two especially active partners from such a large group of friends; for example, I can list the universities we have a permanent cooperation with: Jena, Saarland, Tartu, Vilnius, Porto, Corona and Paris 8. The cooperation area includes both double degree programs, as well as mobility programs of students, professors and staff, support for institutional development projects, joint research grants, efficient support in sharing the best practice of university management, etc."

It should be noted that Tbilisi State University is a member of the following networks: Association of European Universities, International Association of Universities; Black Sea Universities Network Francophone Universities Agency and European Association of Erasmus Coordinators.

In October 2012 based on the mutual agreement of Tbilisi State University and Ministry of Foreign Affairs of Portugal the Agreement on establishment Portugal Language Centre at Tbilisi State University was signed. The Center provides TSU employees and students as well as wide community to learn about the culture, literature and language of Portuguese speaking countries. At present, the Center with the TSU Foreign Relations Department works on the project "Erasmus+" program in Portugal.

THE EXCHANGE PROGRAMS OPERATING WITHIN THE BILATERAL COOPERATION SCOPES

Today it has become a tendency that the education acquired in foreign universities will definitely become a guarantee of success in Georgia, which of course reflects the truth. Such a possibility is given by the Tbilisi State University and the "Erasmus+" which is funded by European Commission or bilateral exchange programs that have been operating in the university since 2007 and are aimed at modernization of education, and increase of knowledge and employment levels. The main point is to have a motivation and desire to learn and gain the foreign experience.

The bilateral exchanges in TSU have been carried out since the 60s of the last century. As for the Erasmus+ exchange

mobility programs financed by the European Commission with the participation of Tbilisi State University since 2015 has funded 121 projects, which is the best result not only in Georgia but in the region, as well.

Tea Gergedava: "The exchange programs have always taken a prominent place among TSU priorities; however, the Bologna process has given absolutely different shape and scale to these activities.

During the last 10 years 1226 students continued their studies in partner European and Asian universities with full or partial financing. As for the exchange programs funded by the European Commission, since 2007 we have been able to offer fully funded mobility for the students of all levels, researchers and academic and administrative personnel within the framework of "Erasmus Mundus" program.

Since 2015, new "Erasmus+" international credit-mobility program has been launched in TSU. The number of the contracts of Erasmus+ international credit-mobility exceeded 120.

The increasing interest of students and staff towards exchange programs is confirmed by the fact that 1024 students have registered for institutional tests of foreign languages organized for mobility in spring semester of the current academic year and autumn semester of 2018/2019 academic year. Finally, we received applications of about 400 students, among them 111 students received a scholarship from partner European Universities for mobility in spring semester of 2017/2018 academic year or autumn semester of 2018/2019 academic year.

Here we can say that this is not a complete data. At this stage only applications for scholarship on Erasmus+ International credit-mobility program have been completed. The exchange programs operating within bilateral cooperation will be announced later and approximately 40 partially funded scholarships for Bachelor's and Master's educational program students will be granted.

In the coming months we plan to apply for financing of 2018-2020 years in up to 80 universities. Consequently, we expect to have an opportunity to offer more than 100 new scholarships to students of all three levels and personnel of TSU within "Erasmus+" program. If we take into account the programs within the framework of bilateral cooperation, we get approximate 150 scholarships for the 2018/2019 academic year in total.

It should also be noted that in the last 6 years the number of funded mobility for all categories of beneficiaries (student, professor, administration) of TSU has been increased four times. During the last three academic years, up to 200 mobility scholarships have been awarded to professors. At the same time, TSU hosted 122 foreign professors and researchers. We also work intensively with our European colleagues to submit applications for the current competition of mobility and institutional development projects".


FOREIGN LANGUAGE PROGRAMS OF THE UNIVERSITY

The foreign language programs of Tbilisi State University support Georgian students to be integrated in the European educational space and to get European education; the mentioned language programs have three levels. The Bachelor's students have the opportunity to learn French-speaking Bachelor Program - Informatics; Master's students – the following foreign programs: Eurasia and Caucasus Studies; Economics; European Studies (Interdisciplinary Program on the European Union); TSU and the German University of Administrative Sciences (Speyer), the joint interdisciplinary program of "Public Administration" and Cologne Master's program "Master of Law". For PhD students, TSU has a joint French-language Doctoral Program "European Literature". These programs allow Georgian students to get high quality education.

Foreign partners are also encouraging the integration of Tbilisi State University in European educational space. The interest in partnership relationship of the prestigious universities of foreign countries with TSU is increasing day-to-day.

Tea Gergedava: "We have a lot of suggestions on the partnership in institutional development and international credit-mobility programs, as well as joint Master's and Cotutelle doctoral programs; the negotiations on the establishment of one of the prestigious European Research Unions Hub at TSU are under way. It is a remarkable fact that our application on membership in UNICA network is on the final stage of its discussion; in parallel we are also working on the application of membership of another influential union of universities.

More partners! More Deep and Comprehensive Collaboration Forms! – These are important priorities for our work!"



THE SUCCESSFUL COMING GENERATION



Giorgi Kachlishvili



Alexander Saatashvili



Mariam Rogava



Salome Shubladze, Revaz Tkemaladze and David Javakhishvili

Nato Oboladze

Tbilisi State University has more than 300 000 alumni. Many of them have made major contributions to the development of scientific fields and vitally important spheres in Georgia and beyond. One part of TSU graduates currently run important state offices and carry out highly responsible work. Therefore, we may say that Tbilisi State University brings up people who define the pace of development of governmental, non-governmental, civil or scientific sectors. It points out to the fact that it is the first university of the country that "trains" the successful army of the country. History constantly repeats itself, and even now new faces emerge whose names will probably resound in the future. Tbilisi State University has never experienced a lack of successful students and today we want to single out those young people who fill the 100 years' old university with pride.

The fact that TSU is number one choice for the students with the best scores at the Unified National Exams of Georgia has become a tradition. In 2017 Mariam Rogava got the highest scores at the entrance examinations and now she is the first-year student at the Department of Physics, Faculty of Exact and Natural Sciences. Now Mariam studies at the department of Physics but she had won success back at school.

This is what she said when we asked her why she chose Tbilisi State University: "I chose Tbilisi State University, because on the one hand it is prestigious, and on the other hand, it was my teachers' advice. Before making this choice I got acquainted with the curriculum and liked it. I know that TSU has numerous international student exchange programs, which is a great advantage compared to other higher education institutions."

TSU Rector's tradition of selecting scholarship holders is carried on and scholarships are granted to students distinguished by several virtues: in 2017-2018 the Rector's scholarship was awarded to Aleksandre Saatashvili, who won a prize at the International Olympiad in Mathematics. He too, is the first year student at the Department of Physics of the Faculty of Exact and Natural Sciences. Aleksandre is not planning to continue his studies abroad yet, though he intends to participate in students' international exchange programs. Neither has he made any precise plans for the future, however, he thinks he won't be able to fully realize his abilities only in Georgia. As regards the Rector's scholarship, he says, Tbilisi State University welcomed him with an unexpected and pleasant surprise.

Tbilisi State University team of three students – Salome Shubladze, Revaz Tkemaladze and David Javakhishvili – won the All-European International Humanitarian and Refugee Law Moot Court Competition.

It was the first case of Georgian students' participation in this competition and winning the first prize was of great importance. In addition to winning the competition in a team, Revaz Tkemaladze won the Best Speaker of the Competition Award in the final round. Other participants of the contest were Law schools from Athens, Warsaw, Budapest and other European universities. The preparatory stage of TSU students took 2 months. They were coached by Saba Pipia – TSU PhD and Assistant of International Law Institute of the TSU Faculty of Law, as well as TSU professors and PhD students, namely, Professor Ketevan Khutsishvili, lecturers – Natia Kalandarishvili and the Institute's PhD Onisime Tskhomelidze. The Academician Levan Aleksidze provided transportation of the team to the contest. Team members are deeply grateful to the Faculty of Law at TSU International Law Institute, as the knowledge acquired in different fields of Law was of great support, which even surprised some members of the jury.

At present, in parallel with university studies, Salome Shubladze and Revaz Tkemaladze are sent out on placement for training to the Georgian Ministry of Justice. As regards their future plans, David Javakhishvili and Salome Shubladze will participate in Jean-Pictet International Competition; Revaz Tkemaladze will join the competition of the International Criminal Court Imitated Court Processes (ICC).

NASA Engineering Fellow Rob Manning, who intends to travel to Mars got inter-

ested with Giorgi Kachlishvili's project – Innovative Air Cosmic Technologies. Giorgi is a four year student at the Department of Physics of the Faculty of Exact and Natural Sciences.

"We invented a special space vehicle – Mars rover and orbital accelerator system. With them it will be possible not only to deliver solid cargo to the Mars but to repeatedly return to the earth, as well. The orbital accelerators are disposed on the orbits of the earth and Mars. On the orbital accelerators the space vehicles will accelerate and slow down with the solar energy at the necessary moment. As a result, 70% of the fuel to complete the cycle of reaching Mars and getting back to the earth falls to the share of solar energy. About 24-27 months later, when the space vehicle gets back to the earth, the orbital accelerators will return to the initial orbit," said the project leader, Giorgi Kachlishvili.

Currently the young innovator is in correspondence with the NASA Engineering Fellow discussing the prospects of his future cooperation with the NASA. At the same time, Giorgi is cooperating with a German company. "One of the directions we are working on is the engine which will be applicable both for motorcars and various types of power stations," said G. Kachlishvili.

P.S. The number of successful students in terms of education and research work is far more than mentioned above. Based on the recent data, there are 215 students at TSU whose average GPA is 4.0.

TSU GRADUATE EMPLOYABILITY INDICATOR OF 2014-2017 YEARS

Tamar Dadiani

It's vital for TSU to facilitate employability for students and graduates. In January 2018, in order to study and estimate the employment indicator, TSU Student Career Services surveyed TSU doctorate students who graduated from different faculties in 2014/2015, 2015/2016 and 2016/2017 years. In 2014-2017 a total of 115 students took the doctoral degrees; however, only 77 postgraduates (67%) participated in the survey.

According to the results of the survey, 97.4 %, (i.e. 75 graduates) have been employed; 2.6 %, (2 students) have not been employed. 90.7% (i.e. 68 graduates) work in their professional field, and 9.3% (7 graduates) got jobs in a different field.

Another purpose of the survey was to reveal the statistics of the doctoral graduates

who work in their professional field. According to Khatuna Tskhadadze, the head of TSU Career Development Center, the results of the study of 2014-2017 years have been distributed among the faculties in the following way.

A total of 52 graduates took different Doctoral programs at the faculty of Humanities, out of which 31 have been surveyed. (Unfortunately, the rest of the graduates were unavailable for the survey).

Question – Are you employed? was answered by 30 graduates (96.8%) positively and by 1 (3.2%) - negatively. 24 (80%) of the employed work in their professional and 6 (20%) – in a different field.

A total of 18 graduates took doctoral programs at the faculty of Social and Political Sciences, out of which 12 have been surveyed.

The question – Are you employed? was answered positively by 11 (91.6%) graduates

positively and by 1 (8.3%) graduate- negatively. All of the 11 post graduates work in their professional fields.

A total of 16 graduates took doctoral programs at the faculty of Psychology and Educational Sciences, out of which 14 have been surveyed.

The question – Are you employed? was answered positively by the all 14 graduates (100%). 13 graduates (93%) work in their professional and 1 (7%) – in a different field.

A total of 29 graduates took doctoral programs at the faculty of Economics and Business, out of which 20 were surveyed.

The question – Are you employed? was answered positively by the all 20 graduates

(100%), and all of them (100%) work by their profession.


As the above-mentioned data demonstrated, the highest employability indicator (100%) in the professional field was achieved by the graduates from the faculties of Economics and Business, and Social and Political Sciences. They are followed by the post-graduates from the faculties of Psychology and Educational Sciences and Humanities.

Therefore, the holders of the doctoral degrees offered/issued by TSU are highly demanded and competitive professionals on the labour market which is ensured by the academic process focused on high standards and preparation of highly qualified specialists.




Employment forum in TSU

Employment Rate



Employment in Professional Field



Source: TSU Student Career Development Centre

The insert is translated by the Language Centre, TSU

სამეცნიერო მონაგარი

მაია ბორაძე

100 წლის თავზე უნივერსიტეტს თამამად შეუძლია განაცხადოს, რომ მისი დამფუძნებლების იდეა ცოცხლობს და მათი დაწყებული საქმე გრძელდება — ის დღესაც ლიდერია კავკასიის უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო კვლევების რაოდენობითა და ხარისხის თვალსაზრისით. ამ უნივერსიტეტს მშობლიურს უწოდებს არაერთი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, რომელმაც სწორედ ამ კედლებში გადადგა პირველი ნაბიჯები. მაქს პლანკის (გერმანია) ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკოსი გია დვალის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს „ალმა მატერს“ უწოდებს, ხოლო ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის პროფესორი ზაალ კოკაია სულ ცოტა ხნის წინ სათავეში ჩაუდგა საუნივერსიტეტო საზოგადოებას, რომელმაც უნივერსიტეტის განვითარებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.

სტატისტიკაში ასახული წარმატება

თსუ-ში დღესათვის ხორციელდება 200-ზე მეტი (ეროვნული და საერთაშორისო) ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულების კვლევითი პროექტი (მათ

შორის, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების უდიდესი ნაწილი), რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაში.

2017 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად, თსუ-მ შთაბეჭდილი შედეგი აჩვენა: დაფინანსებული 86 პროექტიდან თსუ-მ მოიპოვა 45%.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევრებიც ტრადიციულად უპირობო ლიდერები არიან სხვადასხვა კონკურსებში. მხოლოდ 2017 წელს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსის შედეგად გამარჯვებული 30 პროექტიდან 15 პროექტის ავტორი (გამარჯვებული პროექტების 50%) თსუ-ის მაგისტრანტურის სტუდენტები არიან.

თსუ ლიდერია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის შედეგების მიხედვითაც — 40 დაფინანსებული პროექტიდან 14 თსუ-მ მოიპოვა (დაფინანსებული პროექტების 35%).

ანალოგიური მდგომარეობაა ახალგაზრდა მეცნიერთა საგრანტო დაფინანსების კუთხითაც. კონკურსში გამარჯ-



ვებული 23 პროექტიდან ყველაზე მეტი პროექტის ავტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერები არიან (დაფინანსებული პროექტების 26%).

სამეცნიერო პუბლიკაცია

მნიშვნელოვანია თსუ-ის მიერ ხელშეკრულებული განხორციელებული კვლევითი სამუშაოები, რაც კვლევასა და ეკონომიკის ინტეგრირების ხელშეწყობის მკაფიო მაჩვენებელია: 2015 წელს განხორციელდა 163 ხელშეკრულებით გაფორმებული სამუშაო, 2016 წელს — 177, 2017 წელს კი — 200. ამავდროულად, Scopus-ის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინდუსტრიასთან თანამშრომლობით გამოქვეყნებული აქვს 100-მდე პუბლიკაცია.

ამავე Scopus-ის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან

მაღალრეიტინგულ პერიოდულ გამოცემებში სულ უფრო მეტი პუბლიკაცია ქვეყნდება. 2011-2017 წლებში თსუ-ის სახელით გამოქვეყნდა 3 204 პუბლიკაცია. თსუ-ის კვლევითი საქმიანობა, როგორც გამოქვეყნებული პუბლიკაციების, ასევე განხორციელებული პროექტების ფარგლებში, მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან (Scopus-ის მონაცემებით, ერთობლივი პუბლიკაციები გამოქვეყნებულია 150-ზე მეტ საერთაშორისო კოლაბორატორთან ერთად, ამავდროულად, ერთობლივ კვლევებში ჩართულია 3000-მდე უცხოელი მეცნიერი).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იზრდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა მიერ უცხოეთში გამოცემული მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების რიცხვიც. მაგალითისთვის მოვიყვანთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, ნეკროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტის პროფესორის, ალექსანდრე ცისკარიძის წიგნს — „მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტი“, რომელიც კემბრიჯის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტმა გამოსცა (ალექსანდრე ცისკარიძესთან ერთად, წიგნს ორი თანავტორი ჰყავს — ლუნდის (შვედეთის) უნივერსიტეტის პროფესორი არნე ლინდგრენი და მინესოტას (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი ადნან კურემი).

ინტერვიუ

უნივერსიტეტის მზარდი სამეცნიერო პოტენციალი

რა სამეცნიერო-კვლევითი პერსპექტივა აქვს მომავალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და რა ნიშნის დაკავებას აპირებს იგი მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში, ამის შესახებ გვესაუბრება რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე:

— დღეს უკვე რეალობაა ის, რაც ჩვენმა დამფუძნებლებმა საუკუნით ადრე გათვალეს — თანამედროვე უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს პრეტენზია საერთაშორისო აღიარებაზე, აუცილებლად კვლევითი უნდა იყოს. ამ მიმართულებით ბოლო წლებში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა. პირველი, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, ჩვენ გამოვჩინეთ ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო რანჟინგების სისტემაში — Times Higher Education, რომლის რეიტინგის მიხედვითაც, ჩვენ საუკეთესო უნივერსიტეტების ათასეულში შევდივართ. ეს არცთუ ცუდი მაჩვენებელია და მასში დიდი წილი სწორედ უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო მუშაობაზე მოდის.

— კონკრეტულად რომელ სფეროებს გამოყოფდით უნივერსიტეტში, სადაც კვლევა საერთაშორისო დონეზე მიმდინარეობს?

— ყველა მიმართულებას აქვს ასეთი პროექტები, მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. აქ განხორციელებული კვლევები სულ უფრო მეტად ცნობადი ხდება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის. თუ შევადარებთ წინა წლებს, მაღალი დონის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა საგრძობლად გაზარდილი — ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შემოერთებას. მათ ძალიან მაღალი პოტენციალი გააჩნიათ კვლევისათვის, რადგან დაკომპლექტი-

ბულია მაღალი დონის მეცნიერებით და უნივერსიტეტის სახელით მათი მოღვაწეობა ახალ ჰორიზონტებს აჩენს.

ასევე უნდა გამოვვეთოთ, რომ საერთაშორისო სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში გვყავს ძალიან მაღალი ავტორიტეტის მქონე მეცნიერები. მათი სამეცნიერო აქტივობის ინდექსი შთაბეჭდილია და ეს მაჩვენებელი ზოგიერთი ცნობილი და მონიშნავ უნივერსიტეტისთვისაც კი თავმოყვანილი იქნებოდა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN) მომუშავე მეცნიერები, რომლებიც რამდენიმე ექსპერიმენტში (ATLAS, CMS) არიან ჩართულნი.

მთავარი ისაა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები უკვე მნიშვნელოვნად არიან წარმოდგენილნი საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციებში და პროექტებში და ამ ყველაფერს მზარდი დინამიკის სახე აქვს. დღესათვის 3000-მდე უცხოელი მეცნიერი მუშაობს თსუ-ის მკვლევრებთან ერთად.

— სამეცნიერო კვლევის დონეს ხშირად განსაზღვრავს ჟურნალი, რომელშიც ის იბეჭდება. რამდენად აქვთ თსუ-ის მეცნიერებს საშუალება თავიანთი ნაშრომები გამოაქვეყნონ თსუ-ში გამოქვეყნებად მაღალი დონის სამეცნიერო ჟურნალებში? გვაქვს თუ არა ასეთი ჟურნალები?

— ამგვარი ჟურნალების დიდი რაოდენობა არ გვაქვს, თუმცა გაგვაჩნია.

კვლევების ხელშეწყობისა და პროდუქტიულობის მაჩვენებელია თსუ-ის პერიოდული სამეცნიერო გამოცემები, რომლებიც ინდექსირებულია Scopus-ის ან ERIC PLUS-ის მიერ. კერძოდ, თსუ-ის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებით მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორი ჟურნალი („Bulletin of TICMI“ და „Lecture Notes of TICMI“) და ასევე თსუ-ის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ჟურნალი „Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics“ ინდექსირებულია Scopus-ის მიერ, ხოლო თსუ-ის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ჟურნალი „სჯანი“ და თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონო-



ალექსანდრე ცისკარიძე

მიკის ინსტიტუტის ჟურნალი „ეკონომისტი“ ინდექსირებულია ERIC PLUS-ის მიერ. რაც შეეხება თსუ-ის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ჟურნალს „Transactions of A. Razmadze Mathematical Institute“ იგი განთავსებულია Elsevier-ის ScienceDirect ბაზაში.

— თსუ-ის წიაღიდან რომელმა სამეცნიერო აღმოჩენებმა და კვლევებმა მიიპყრო ბოლო დროს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება?

— ასეთი ბევრია, მაგრამ აუცილებლად უნდა გამოიყოს საქართველოში, კასპის რაიონში მდებარე გრაკლიანი გორის არქეოლოგიური გათხრები. საუბარია ძველი ნელთადრიცხვის X საუკუნის მცირე ტაძარზე, რომელშიც ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული დამწერლობის ნიმუშები აღმოჩნდა. ეს არის ძალიან ადრეული თარიღი დამწერლობისათვის და, შესაბამისად, მრავალი კითხვის ნიშანი და მრავალი ისტორიული ხასიათის პრობლემა დადგა. ამ ფაქტმა და აღმოჩენილმა მასალებმა, შესაძლოა, აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის ისტორიული ცნობებიც შეცვალოს.

უნდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე ჩვენი მეცნიერი, ბოლო ორი წელია, საქართველოს საუკეთესო მეცნიერად სახელდება, ასეთი იყო 2016 წელს პროფესორი ბეჟან ჭანკვეტაძე, 2017 წელს კი საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებში საუკეთესო მეცნიერად დასახელდა თსუ-ის გეოგრაფიის ინსტიტუტის

ახალგაზრდა მეცნიერი ლევან ტიელიძე; ხოლო 2017 წლის საუკეთესო სამეცნიერო კვლევით ჯგუფად აღიარებულ იქნა თსუ-ის ფიზიკოსთა ერთი ჯგუფი რამაზ ლომსაძის, მალხაზ გოჩიტიშვილის, რომან კეხერაშვილისა და ნუგზარ მოსულიშვილის შემადგენლობით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოლო პერიოდის მზარდი ტენდენციები ადასტურებს, რომ ჩვენ გვაქვს პოტენციალი — კიდევ უფრო მაღალ სამეცნიერო სიმაღლეებს შევწვდეთ. უნდა ვეძებოთ სამეცნიერო კვლევის ახალი მიმართულებები, პოტენციური უცხოელი პარტნიორები (თანამედროვე მეცნიერება ხომ მულტინაციონალურია, ის საზღვრებს არ ცნობს) და მათთან თანამშრომლობით უნდა დაიგეგმოს ერთობლივი კვლევები. ეს არის მეცნიერების განვითარების ის გზა, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტიც უნდა გააყვას.

თსუ-ს პოზიცია მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟინგის სხვადასხვა სისტემაში

The U.S. News & World Report (Clarivate Analytics)-ის 2017 წლის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟინგში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 359-ე ადგილი დაიკავა, ანუ ის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში მოხვდა.

2017 წლის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შანხაის მსოფლიოს უნივერსიტეტების დარგობრივ რანჟინგში (ShanghaiRanking) მსოფლიოს 500 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის მოხვდა. შანხაის დარგობრივ რანჟინგებში თსუ-ის ფიზიკის მიმართულება 151-200 პოზიციას იკავებს.

Times Higher Education World University Rankings-ის ინფორმაციით, გასული წლის (2016 წ.) რანჟინგებში 980 საუკეთესო უნივერსიტეტი გამოვლინდა, სადაც თსუ-ს 801+ ადგილი ეკავა.



მეცნიერებით აღდგენილი ხილი

ნაბო მოლოაძე

1918

წლის 2 მაისის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ კავკასიის მთელთა ენების შესწავლა, როგორც ქართული ენის მეცნიერულად შესწავლისთვის, ასევე, პოლიტიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია.

შედეგად, საფუძველი ჩაეყარა საუკუნოვან სამეცნიერო-კვლევით პროცესს, რაც დღესაც გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებში და 2008 წელს, კონფლიქტების შედეგად, აფხაზ და ოს ეთნოსთან კავშირი განწყდა, სამეცნიერო კვლევები ცალ-ცალკე, ზოგიერთ შემთხვევაში კი ერთობლივად ხორციელდებოდა. დღეს კი, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს აფხაზ და ოს ხალხთან მყარი კავშირი მეცნიერების საშუალებით აქვს. სწორედ ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევით ცენტრსა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევით ცენტრში აქტიური სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918 წლის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, აფხაზური ენის კურსი პეტრე ჭარაიას უნდა წაეკითხა, მაგრამ, საბოლოოდ, ეს მისია დიმიტრი გულიამ ითავა, რომელიც აფხაზური სალიტერატურო ენის დამფუძნებლად ითვლება. აფხაზური ენის სამეცნიერო შესწავლა თსუ-ის დაარსებიდანვე სიღრმისეულად მიმდინარეობდა, შემდეგ ეს ტრადიცია კავკასიური ენების კათედრაზე პროფესორმა ქეთევან ლომთათიძემ განაგრძო. აქვე აღინიშნება ცნობილი სპეციალისტები რუსუდან ჯანაშია, თეიმურაზ გვანცელაძე, ნანა მაჭავარიანი... 90-იან წლებში, კონფლიქტის შემდეგ, აფხაზებთან კავშირი განწყდა, თუმცა ორივე მხარე აფხაზური ენის, კულტურისა თუ ისტორიის კვლევისა და სწავლების პროცესს დამოუკიდებლად განაგრძობდა.

ამჟამად, თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წევრები აფხაზ მეცნიერებთან აქტიურად თანამშრომლობენ და, შედეგად, რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცემაც დაიბეჭდა: მაგალითად, პირველად ისტორიაში — „ქართულ-აფხაზური სასაუბრო“, „აფხაზური ლეგენდა აბრსკილზე“, „ნართების ეპოსი — 99 ნართი ძმა და და“, „აფხაზური ზეპირმეტყველების გაკვეთილები“. 10 წლიანი მუშაობის შედეგად, აფხაზური მხარის თხოვნით, გამოიცა ფოტო-ალბომი — „აფხაზეთი XIX საუკუნე“, აფხაზებთან

„ქართული უნივერსიტეტი. პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური. 1918 წლის 2 მაისი.

განაჩენი: მიღებულ იქნეს ზომები მთელთა ენების შესასწავლად, მომავალ ენკენისტიდანვე დაიწყო ოსური ენის სწავლება და ამ საქმის ხელმძღვანელობა მიენდოს პროფესორის მოადგილეს გ. ახვლედიანს (აგრეთვე აფხაზური ენისა, მოწვეულ იქმნას პ. ჭარაია). შემდეგ თანდათანობით, სამეცნიერო ძალთა და საშუალებათა მიხედვით მოეწყოს დაღესტნისა და საჩაჩნოს ენების შესწავლა“.

„პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“.

ერთად ითარგმნა და გამოიცა საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და სხვადასხვა ნორმატიული აქტები. ეს ყველაფერი დაიბეჭდა აფხაზურ ენაზე. აღსანიშნავია, რომ ყველა ჩამოთვლილი გამოცემა ენგურს იქითაც გავრცელდა.

გვესაუბრება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომელი, კავკასიოლოგი ლეილა აპიძე: „საქართველოს კონსტიტუციით აფხაზურ ენას სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანამ სახელმწიფო ვალდებულება აიღო აფხაზური ენისა და, საერთოდ, აფხაზური ეთნო-კულტურული სივრცის შენარჩუნებასა და განვითარებაზე. ამავე პერიოდში სამოქალაქო სექტორმა დაიწყო აფხაზეთის ომის გამომწვევი მიზეზების ძიება და შესწავლა. მე მხედველობაში მაქვს ზურაბ შენგელიას საავტორო „აფხაზური ენის სახელმწიფო სტატუსის დამკვიდრების“ პროგრამა, რომლის ბაზაზეც, ჯერ კიდევ 1999 წელს, ქართველებისა და აფხაზების მიერ ერთობლივად დაფუძნდა არასამთავრობო ორგანიზაცია — „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტი“; გამოიცა აფხაზური ლიტერატურა; შეიქმნა ქართულ-აფხაზური სასაუბრო და ამ პროექტებში აქტიურად ჩაება აფხაზური მხარე. შედეგად, დაგროვდა გამოცდილება. აი, ამ დროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, როგორც ყოველთვის, თავის თავზე აიღო ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევა და თავის წილში 2008 წელს დააფუძნა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელსაც წელს 10 წელი უსრულდება. ამჟამად, ცენტრი ხელმძღვანელობს პროგრამას — „გავიცნოთ აფხაზეთი“, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს მეცნიერებთა ეროვნული აკადემიის აფხაზური ენისა და კულტურის კომისია და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტი. პროგრამის მიზანია — მოამზადოს საფუძველი აფხაზური ენციკლოპედიის შესაქმნელად. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს აფხაზური ზეპირმეტყველების სწავლება ცენტრის თანამშრომლის ესმა კოკოსკერიასა და ჩემი ავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოებით. ამავე პროგრამის ფარგლებში გამოიცა ფოტო-დოკუმენტების ალბომი — „აფხაზეთი XIX საუკუნე“. მისი შემდგენელი ჩვენი თანამშრომელი თეო გიცბაა. უახლოეს მომავალ-

ში კვლავ ამუშავდება აფხაზურენოვანი ინტერნეტ-რადიო „ჰარა“, რომლის აპარატურა შეიძინა და დაამონტაჟა ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ საქართველოში. გარდა ამისა, გვაქვს ყოველწლიური მივლინებები აფხაზეთში იქაურ არქივებში, მუზეუმებში და კერძო კოლექციებში სამუშაოდ, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი ნინო ბერძინიშვილი“.

დღეს ცხინვალის უნივერსიტეტში ბევრი მეცნიერი მოღვაწეობს, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. პოლიტიკურმა კონფლიქტებმა პირველ ქართულ უნივერსიტეტში დამყარებული სამეცნიერო, მეგობრული, ადამიანური ურთიერთობები მნიშვნელოვნად დააზიანა, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ მოშალა. აკადემიკოსი ნაფი ჯუსოთი „ოსურ-ქართული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „ჩვენს ხალხებს წარსულში მეზობლურად, მეგობრულად უცხოვრიათ, რაკი ეს ასეა, მაშინ დღესაც, ჩვენს დროშიც, ჩვენს შემდეგაც საჭიროა კეთილმეზობლური ცხოვრებისა-კენ სწრაფვა: მტრობითა და ბოროტებით ხომ არავის არაფერია მოუგია“. ოს მეცნიერთა ნაწილი თსუ-ის ქართულ-ოსურ სამეცნიერო კვლევით ცენტრში მოღვაწე მეცნიერებთან ერთად კვლევით საქმიანობას განაგრძობს. ქართულ-ოსური თანამშრომლობის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა მომზადდა. აღსანიშნავია, რომ წიგნების უმეტესობა ქართულ-ოსური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის, პროფესორ ნაირა ბეპიევის ავტორობით, რედაქტორობით ან თანაავტორობით არის გამოცემული: „ოსური ფოლკლორი“ (ამ წიგნის პრეზენტაცია 2002 წელს ცხინვალში ჩატარდა), „ოსური ზეპირსიტყვიერება“ (2005 წ.), „ქართული მწერლობის ანთოლოგია“ (ოსურ ენაზე), „ოსური მწერლობის ანთოლოგია“ (ქართულ ენაზე, 2007 წ.), „ოსური თქმულებები“ (2009 წ.), „ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი“ (პირველად გამოიცა 2012 წ. მთავარი რედაქტორი ნაირა ბეპიევი, რედაქტორები: ნაფი ჯუსოთი, თემურლან გურიევი, ავთანდილ არაბული, ნინო პოპიაშვილი), „ნართების ეპოსი“ (2015 წ.), „ქართულ-ოსურ-რუსულ-ინგლისური და ოსურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური სასაუბრო“ აუდიო დისკთან ერთად (2017 წ.), „ნართების ეპოსი ბავშვებისთვის“ (2017 წ.), „ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა“ (2017 წ.) და სხვ. ყველა ეს წიგნი ქართველ და ოს მეცნიერებთან თანამშრომლობით არის მომზადებული და გამოცემული. ამ წიგნების გამოცემის მხარდამჭერები სხვადასხვა დროს იყვნენ: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების ფონდის პროგრამა „COBERM“ და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ეს წიგნი ქართულ და ოსურ ენებზეა გამოცემული.

„უფროსი თაობის ქართველები და ოსები ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, დღევანდელი ახალგაზრდობა კი გაუცხოებულია. ტრადიციული სამეცნიერო ურთიერთობის აღდგენის მიზნით, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ყოველწელს აწყობს საერთაშორისო კონფერენციებს, რომელშიც, ქართველ მეცნი-



ერებთან ერთად, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მეცნიერები: ჩრდილოეთ კავკასიიდან, რუსეთიდან, იტალიიდან და სხვ. ამ კონფერენციის ერთ-ერთი მიზანი ქართველი და ოსი ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობა და დაახლოებაცაა“, — განაცხადა თსუ-ის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ნაირა ბეპიევა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღზრდილი მეცნიერები დღემდე მოღვაწეობენ სოხუმის, ცხინვალისა თუ ჩრდილოეთ კავკასიის კვლევით ინსტიტუტებში. ახსოვთ და პატივისცემით მოიხსენიებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც ერთიანი კავკასიური იდეის მატარებელ პირველ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა კავკასიური კვლევების ნამდვილი და ყველას მიერ აღიარებული ცენტრი, რომელმაც ჯერ კიდევ 1920-იან წლებში კავკასიის მთის ხალხების ენებისა და ისტორიის ფართომასშტაბიანი და მიზანმიმართული შესწავლა წამოიწყო. ზუსტად მაშინ დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიაში სამეცნიერო ექსპედიციები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ იყო ორგანიზებული (ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, კ. ლომთათიძე)...

კავკასიური ენათმეცნიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს 1933 წელი, როდესაც, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სამეცნიერო სკოლის დამფუძნების არნოლდ ჩიქობავას (1898-1985 წ.წ.) ინიციატივით, კავკასიური ენების კათედრა (ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი) შეიქმნა. რთულია შეაფასო ის უდიდესი წვლილი, რომელიც კათედრამ შეიტანა კავკასიური ენების ლინგვისტიკის განვითარებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კავკასიის მთის ხალხების ბევრმა წარმომადგენელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება და გაიარა სამეცნიერო მომზადება, მათ შორის გახლავართ მეც — ამ ფრაზების ავტორი. მე ყოველთვის თან მდევს ღრმა მადლიერების გრძობა ჩემი ალმა მატერის, ჩემი მასწავლებლების, ჩემი ახალგაზრდობის ქალაქის — თბილისისა და საქართველოს მიმართ“, — ასე აფასებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლს თსუ-ის კურსდამთავრებული (1957 წ.), დაღესტნის სამეცნიერო ცენტრის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი ისა აბდულაევი.



ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრში



პარტნიორობი სართავორისო ასკარაზო

თამარ ღაღინი

როდინა კითხვობადან ლაქცივას თსუ-ში უცხოელთა პროფესორები?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების პირველი წლებიდან უნივერსიტეტის ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის საერთაშორისო სა- უნივერსიტეტო თანამშრომლობის მხარდაჭერის მოპოვებას და მსოფლიო ასპარეზზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. ევროპის ცნობილი უმაღლესი სასწავლებლები საიუბილეო თუ სამეცნიერო ღონისძიებებზე თსუ-ის დელეგაციებსაც იწვევდნენ. ჯერ კიდევ 1924 წელს, მინვეის თანახმად, პროფესორი გრიგოლ წერეთელი ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლის იუბილეზე გაემგზავრა. მან, თბილისის უნივერსიტეტის სახელით, იტალიელ კოლეგებს მხატვარ ი. შარლემანის მიერ დამზადებული მილოცვის ადგილი გადასცა.

არსებობის პირველ წლებშივე უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპული მეცნიერებები მოეწვიათ. 1919 წელს პროფესორთა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა — ბიზანტიის ისტორიის კათედრაზე პროფესორის მოადგილედ მოენიშნათ ამერიკელი ორიენტალისტი, ქართველოლოგი რ.პ. ბლეიკი, რომელმაც თავად გამოთქვა სურვილი ახლად შექმნილ ქართულ უნივერსიტეტში ემსახურა. ის მცირე ხნით კითხულობდა ლექციებს ბიზანტიის ისტორიასა და ბერძნულ ენაში.

1920 წელს, თსუ-ის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე დაისვა საკითხი, რომ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტებიდან ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები მოეწვიათ, მათ შორის: კლერმონის უნივერსიტეტის პროფესორი ჟან. ლ. ჟირო; დოქტორები: ალექსანდრე ნათანსონი, ე. ოთელი, გუსტავ პასე, მაქს მიულერი; ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორები: რიხარდ ფოგელი, პრელი და სხვა. გარდა ბლეიკისა, რომელიც ნიკო მართან და ივანე ჯავახიშვილთან მეცადინეობდა, ვერც ერთი უცხოელის ჩამოსვლა ვერ მოხერხდა.

მონვეული პროფესორები, ხელშეკრულების თანახმად, იღებდნენ ვალდებულებას თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტში 2 წლის განმავლობაში წაეკითხათ ლექციები უცხო ენაზე (თარჯიმანის დახმარებით). ხოლო 2 წლის შემდეგ, რექტორის ივანე ჯავახიშვილის მოთხოვნით, ისინი ვალდებულნი ხდებოდნენ ლექცია სახელმწიფო ენაზე ანუ ქართულად წაეკითხათ.

სამეცნიერო კავშირები უცხოეთთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კავშირები უცხოეთთან მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან განსაკუთრებით აქტიური ხდება. 1968 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების განყოფილება, რომელიც 2005 წელს ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად — თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტად ჩამოყალიბდა. მისი საქმიანობის პრიორიტეტს წარმოადგენს თსუ-სა და მსოფლიოს სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით თუ საგანმანათლებლო ცენტრებს შორის მჭიდრო კონტაქტების ჩამოყალიბება, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, ერთობლივი პროექტებითა და სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლითი პროგრამებით ხორციელდება.

უცხოეთის სასწავლო-სამეცნიერო უმაღლეს დაწესებულებებთან პარტნიორობის შესახებ გვესაუბრება თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **თია ბერბედავა**:

„უნივერსიტეტის პირველი საერთაშორისო პარტნიორი ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი (გერმანია), რომელთანაც თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს 52 წლის წინ მოეწერა ხელი. მას შემდეგ თსუ მუდმივად ცდილობდა საერთაშორისო პარტნიორების მოზიდვას და დღეს, ჩვენ, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააქვს გაფორმებული 50-მდე ქვეყნის 180 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. რთულია მეგობართა ასეთ დიდ ჯგუფში ერთი ან ორი განსაკუთრებით აქტიური პარტნიორი გამოყო, მაგალითისთვის შემიძლია ჩამოვთვალო ისეთი უნივერსიტეტები, რომლებთანაც მუდმივი თანამშრომლობა გააქვს, ესენია: იენის, ზაარლანდის, ტარტუს, ვილნიუსის,

პორტოს, კორუნას და პარიზი 8 უნივერსიტეტები. მათთან თანამშრომლობის არეალი მოიცავს როგორც ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელ პროგრამებს, ასევე სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მობილობას, მხარდაჭერას ინსტიტუციური განვითარების პროექტებში, ერთობლივ კვლევით გრანტებს, ქმედით მხარდაჭერას უნივერსიტეტის მართვის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებაში და ა.შ.“

ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის შემდეგი ქსელების წევრი: ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია, უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაცია; შავი ზღვის უნივერსიტეტების ქსელი; ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო და ერაზმუსის კოორდინატორთა ევროპული ასოციაცია.

2012 წლის ოქტომბერში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პორტუგალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე ხელი მოეწერა შეთანხმება თსუ-ში პორტუგალიური ენის ცენტრის გახსნის შესახებ. ცენტრი საშუალებას აძლევს თსუ-ის თანამშრომლებსა და სტუდენტებს, ასევე ფართო საზოგადოებას, გაი-ლრმავონ ცოდნა პორტუგალიურად მოსაუბრე ქვეყნების კულტურის, ლიტერატურისა და ენის შესახებ. ამჟამად, ცენტრი თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტთან ერთად მუშაობს პროექტზე — „ერაზმუს“-ის პროგრამა პორტუგალიაში.

ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედი გაცვლითი პროგრამები

დღეს ტენდენციად იქცა, რომ უცხოეთის უნივერსიტეტებში მიღებული განათლება აუცილებლად გახდება წარმატების გარანტი საერთაშორისო, რაც საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის. ასეთ შესაძლებლობას მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ევროკომისიის მიერ დაფინანსებული „ერაზმუს“-ის ან ორმხრივი გაცვლითი პროგრამები აძლევს, რომლებიც უნივერსიტეტში 2007 წლიდან მოქმედებს და მიზნად ისახავს განათლების მოდერნიზებას, ცოდნისა და

დასაქმების დონის ამაღლებას. მთავარია, იყო მიზანდასახული და გააჩნდეს სწავლის მიღებისა თუ სწავლების უცხოურ გამოცდილებასთან ზიარების დიდი სურვილი.

ორმხრივი გაცვლები თსუ-ში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ხორციელდება, რაც შეეხება ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ „ერაზმუს“-ის გაცვლით მობილობებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით 2015 წლიდან დღემდე 121 პროექტი დაფინანსდა, რაც საუკეთესო შედეგია არა მარტო საქართველოში, არამედ რეგიონშიც.

თია გერგედავა: „თსუ-ის პრიორიტეტებში გაცვლითი პროგრამები ყოველთვის თვალსაჩინო ადგილს იკავებდა, თუმცა ბოლო წლების პროცესმა ამ საქმიანობას სულ სხვა ფორმები და მასშტაბი შესძინა.“

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე 1226-მა სტუდენტმა გააგრძელა სწავლა პარტნიორ ევროპულ და აზიურ უნივერსიტეტებში სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით. რაც შეეხება კონკრეტულად ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს, 2007 წლიდან მოგვეცა შესაძლებლობა — „ერაზმუს მუნდუსის“ პროგრამის ფარგლებში ყველა საფეხურის სტუდენტის, მკვლევარებისა და აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალისთვის სრულად დაფინანსებული მობილობები შეგვეთავაზებინა.

2015 წლიდან თსუ-ში ახალი „ერაზმუს“-ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამა ამოქმედდა. „ერაზმუს“-ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობების ხელშეკრულებათა რაოდენობამ კი 120-ს გადააჭარბა.

გაცვლითი პროგრამებისადმი სტუდენტებისა და პერსონალის გაზრდილ ინტერესს მოწმობს ის ფაქტიც, რომ მიმდინარე სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2018/2019 წლის შემოდგომის სემესტრის მობილობისთვის ორგანიზებული უცხო ენების ინსტიტუციონალური ტესტების ჩასაბარებლად 1024 სტუდენტი დარეგისტრირდა. საბოლოოდ კი 400-მდე სტუდენტის განცხადება მივიღეთ, რომელთაც 111-მა მიიღო სტიპენდია პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის ან 2018/2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობისთვის. აქვე დავძენთ, რომ ეს სრული მონაცემები არ არის. ამ ეტაპზე განაცხადების მიღება მხოლოდ „ერაზმუს“-ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის სტიპენდიებზე დასრულებული ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედი გაცვლითი პროგრამები მოგვიანებით გამოცხადდება და მის ფარგლებში დამატებით 40-მდე ნაწილობრივ დაფინანსებული სტიპენდია გაცემა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის.

უახლოეს თვეებში 80-მდე უნივერსიტეტთან ერთად ვგეგმავთ 2018-2020 წლების დაფინანსებისთვის განაცხადის გაკეთებას. შესაბამისად, ვვარაუდობთ, რომ შესაძლებლობა გვექნება — 100-ზე მეტი ახალი სტიპენდია შევთავაზოთ „ერაზმუს“-ის პროგრამის ფარგლებში თსუ-ის სამივე საფეხურის სტუდენტებსა და პერსონალის წარმომადგენლებს. ამას და-

ვუმატოთ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედი პროგრამები და ჯამში მივიღებთ 150-მდე სტიპენდიას 2018/2019 სასწავლო წლისთვის.

ალსანიშნავია ისიც, რომ ბოლო 6 წელიწადში გაოთხმაგდა დაფინანსებული მობილობების რაოდენობა თსუ-ში ყველა კატეგორიის ბენეფიციარისთვის (სტუდენტი, პროფესორი, ადმინისტრაცია). ბოლო სამი აკადემიური წლის განმავლობაში 200-მდე მობილობის სტიპენდია გაცემა პროფესორ-მასწავლებლებზე. იმავე პერიოდში თსუ-მ უმასინძლა 122 უცხოელ პროფესორს და მკვლევარს. ასევე აქტიურად ვმუშაობთ ჩვენს ევროპულ კოლეგებთან მობილობისა და ინსტიტუციური განვითარების პროექტების მიმდინარე კონკურსში განაცხადების გასაკეთებლად.“

შენიშვნების უცხოეთში პროგრამები

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ქართველი სტუდენტების ინტეგრაციას და ევროპული განათლების მიღე-

83. 23

ინის უნივერსიტეტის კამპუსის მოლოცვა




მაქვს პატივი, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სახელით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ჩემს კოლეგას, დოქტორ გიორგი შარვაშიძეს, მივულოცო ეს სასიხარულო მოვლენა — უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე. მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა.

ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი ამჟამად, რომ უკვე 50 წელზე მეტია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორია. 1960-იანი წლების დასაწყისიდან ეს ორი უნივერსიტეტი ერთობლივი ძალით მუშაობს და ერთმანეთს დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს. ამგვარად, მათ საფუძველი ჩაუყარეს მუდმივ წარმატებულ აკადემიურ და კულტურულ ურთიერთობას მეცნიერების არაერთ დისციპლინაში.

ეს ურთიერთობა დღითიდღე ძლიერდება და ჩვენი კავშირები კიდევ უფრო გამყარდება მომავალში. ნება მიბოძეთ, გულითადი მადლობა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ქართულ-გერმანული აკადემიური ურთიერთობების გასაძლიერებლად განუული ძალისხმევით. გისურვებთ კეთილდღეობასა და წარმატებას!

ვალტარ როზენტალი
ინის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, დოქტორი, პროფესორი



- 1. აზერბაიჯანი
- 2. ალბანეთი
- 3. კვიპროსი
- 4. ლუქსემბურგი
- 5. მაკედონია
- 6. მოლდოვა
- 7. სომხეთი
- 8. შვეიცარია
- 9. პოლანდია




წარმატებული ახალი თაობა



გიორგი ქაჩიშვილი



ალექსანდრე საათაშვილი



მარიამ როგავა



სალომე შუბლაძე, რევაზ ტყემალაძე და დავით ჭავჭავაძე

ნაბო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 300 000-ზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს. მათგან ბევრმა, საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, სამეცნიერო დარგებსა და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებში დიდი წვლილი შეიტანა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზრდის ადამიანებს, რომლებიც სამთავრობო, არასამთავრობო, სამოქალაქო თუ სამეცნიერო სექტორების განვითარების ტემპს საზღვრავენ. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის წარმატებული არამისაწარმე პირველი ქართული უნივერსიტეტი „წრთენის“ ისტორია სულ მეორდება და უნივერსიტეტში ახლაც იკვეთებიან ახალი სახეები, რომელთა სახელებიც მომავალში, ალბათ, ხმაბლად გაიჟღერებს. წარმატებულ სტუდენტთა ნაკლებობას უნივერსიტეტი არასდროს უჩიოდა და დღეს იმ ახალგაზრდებს გამოვყოფთ, რომლებმაც 100 წლიან უნივერსიტეტს, საიუნივერსიტეტო დღეებში, შეუძლია იამაყოს.

თსუ რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტების ნომერ პირველი არჩევანია, ერთგვარ ტრადიციადაც იქცა. 2017 წლის მისაღებ გამოცდებში, საქართველოს მასშტაბით, საუკეთესო შედეგები მარიამ როგავამ აჩვენა, რომელიც ახლა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტია. მარიამი ფიზიკის მიმართულებაზე სწავლობს და მან, ჯერ კიდევ, სკოლაში სწავლის პერიოდში მიიღწია წარმატებებს. თუ რატომ აირჩია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასე განგვიმარტა: „არჩევანი გაკეთებამდე გავეცანი თსუ-ის სასწავლო პროგრამას და მომეწონა. ვიცი, რომ თსუს ბევრი გაცვლითი პროგრამა აქვს, რაც დიდი უპირატესობაა სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით“.

დღემდე გრძელდება თსუ-ის რექტორის სტიპენდიატის შერჩევის ტრადიცია და სტიპენდიას უნივერსიტეტში გამორჩეული სტუდენტი იღებს. 2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში თსუ-ის რექტორის სტიპენდიატი მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი ალექსანდრე საათაშვილი გახდა. ისიც თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტია. ალექსანდრე საათაშვილი საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას ჯერ-

ჯერობით არ გეგმავს, თუმცა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. რაც შეეხება რექტორის სტიპენდიას, ამბობს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი დაახვედრა.

2017 წელს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა სალომე შუბლაძემ, რევაზ ტყემალაძემ და დავით ჭავჭავაძემ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ლტოლვილთა სამართლის საერთო ევროპული იმპირიული სასამართლო პროცესების კონკურსში მონაწილეობა პირველად მიიღეს და პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ. გუნდური წარმატების გარდა, რევაზ ტყემალაძემ ფინალური რაუნდის საუკეთესო გამომსვლელის ნომინაციაშიც გაიმარჯვა. შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ სამართლის სკოლები მასტრიხტის, ათენის, ვარშავის, ბუდაპეშტისა და სხვა ევროპული უნივერსიტეტებიდან. თსუ-ის გუნდის მოსამზადებელი ეტაპი 2 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. მწვრთნელი იყო სამართლის დოქტორი და თსუ-ის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასისტენტი საბა ფიფია. გუნდს, ასევე, ამზადებდნენ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პროფესორები და დოქტორანტი, კერძოდ, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სპეციალისტი ნინო კალანდარიანი და ინსტიტუტის დოქტორანტი ონისიმე ცხომელიძე.

დღეს სალომე შუბლაძე და რევაზ ტყემალაძე, სწავლის პარალელურად, სტუდენტებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გადიან. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, დავით ჭავჭავაძე და სალომე შუბლაძე, ჰუმანიტარული სამართლის მიმართულებით, მომავალ წელს დაგეგმილ პიქტეს საერთაშორისო კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას; რევაზ ტყემალაძე კი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) იმპირიული პროცესების შეჯიბრში ჩაერთვება.

NASA-ს ინჟინერი რომ მენინგი, რომელიც მარსზე მომავალ მოგზაურობას გეგმავს, დაინტერესდა თსუ-ის ფიზიკის მიმართულების IV კურსის სტუდენტის გიორგი ქაჩიშვილის გუნდის პროექტით — „ავიაკოსმოსური ტექნოლოგიები, ინოვაციური ძრავა“.

„ჩვენ გამოვიგონეთ სპეციალური კოსმოსური ხომალდი — მარსზე მარსის ორბიტალური ამჩქარებლების სისტემა. მათი დახმარებით შესაძლებელი იქნება არა მარტო მარსამდე სოლიდური ტვირთის მიტანა, არამედ დედამიწაზე მრავალჯერადად დაბრუნებაც. ორბიტალური ამჩქარებლები განლაგებულია დედამიწის და მარ-

სის ორბიტებზე. ორბიტალური ამჩქარებლებზე, მზის ენერჯის გამოყენებით, კოსმოსური ხომალდი საჭირო მომენტში აჩქარდება ან შენელებს. შედეგად, მარსამდე მიღწევის და უკან დაბრუნების ციკლში მთელი სანავის 70%-მდე მოდის მზის ენერჯიაზე. დაახლოებით 24-27 თვის შემდეგ, როცა კოსმოსური ხომალდი დაბრუნდება დედამიწაზე, ორბიტალური ამჩქარებლები უბრუნდებიან საწყის ორბიტას“, — გვითხრა პროექტის ხელმძღვანელმა გიორგი ქაჩიშვილმა.

ამ დროისთვის ახალგაზრდა ინოვაციური NASA-ს ინჟინერთან მიმონერას აწარმოებს და განიხილება მისი NASA-სთან სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. პარალელურად, გიორგი ქაჩიშვილი თანამშრომლობს გერმანულ კომპანია-სთან. „ერთ-ერთი მიმართულება, რომელზეც ახლა ვმუშაობთ, ეს არის ძრავა, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც ავტონომიური სისტემებისთვის, ასევე სხვადასხვა სახის ელექტროსადგურებში“, — აღნიშნა გიორგი ქაჩიშვილმა.

P.S. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო და კვლევითი ასპექტში წარმატებულ სტუდენტთა რაოდენობა აქ ჩამოთვლილზე გაცილებით მეტია. ბოლო მონაცემებით, თსუ-ში 215 სტუდენტია, რომელთა საშუალო საერთო GPA 4.0-ს შეადგენს.

თსუ-ის ჯილდოთაპირველთა დასაქმების მაჩვენებელი

თამარ ცაიანი


2018 წლის იანვარში, თსუ-ის სტუდენტთა კარიერულმა ცენტრმა, დასაქმების მაჩვენებლის კვლევის მიზნით, გამოკითხა თსუ-ის დოქტორანტურის 2014/2015, 2015/2016 და 2016/2017 სასწავლო წლების კურსდამთავრებულები, რომლებმაც უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტი დაამთავრეს. 2014-2017 წლებში დოქტორანტურა დაამთავრა სულ 115 დოქტორანტი. ამათგან მხოლოდ 77 კურსდამთავრებულთან მიხერხდა დაკავშირება (67%).

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთაგან დასაქმდა 97,4% (75 კურსდამთავრებული), არ დასაქმდა 2,6% (2 კურსდამთავრებული); თავისი პროფილით მუშაობს 90,7% (68 კურსდამთავრებული), ხოლო სხვა პროფესიით დასაქმებულია 9,3% ანუ (7 კურსდამთავრებული).

გამოკითხვის მიზანი იყო, აგრეთვე, თავისი პროფილით დასაქმებული დოქტორანტების სტატისტიკური მაჩვენებლის გამოკვლევა. კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის ხათუნა ცხადაძის ინფორმაციით, 2014-2017 წლების კვლევის შედეგები ფაკულტეტების მიხედვით ასე გადანაწილდა:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტების საგანმანათლებლო პროგრამები დაამთავრა 52 დოქტორანტი, აქედან გამოკითხა 31 კურსდამთავრებული. კითხვაზე — ხართ თუ არა დასაქმებული? — 30-მა (96.8%) კურსდამთავრებულმა უპასუხა დადებითად, ერთმა — უარყოფითად (3,2%). აქედან, 24 (80%) კურსდამთავრებული თავისი პროფილით მუშაობს, ხოლო 6 (20%) — არა პროფილით.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები დაამთავრა 18 დოქტორანტი, აქედან გამოკითხა 12. კითხვაზე — ხართ თუ არა დასაქმებული? — 11-მა (91.6%) კურსდამთავრებულმა უპასუხა დადებითად, ერთმა — უარყოფითად (8.3%); 11-ვე კურსდამთავრებული მუშაობს თავისი პროფილით (100%). ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები 16-მა დოქტორანტმა დაამთავრა, აქედან გამოკითხა 14. კითხვაზე — ხართ თუ არა დასაქმებული? — 14-ვე (100%) კურსდამთავრებულმა უპასუხა დადებითად; 13 (93%) კურსდამთავრებული მუშაობს თავისი პროფილით, ხოლო 1 (7%) კურსდამთავრებული სხვა სფეროშია დასაქმებული. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები 29 დოქტორანტმა დაამთავრა, აქედან გამოკითხა 20 კურსდამთავრებული. კითხვაზე — ხართ თუ არა დასაქმებული? — 20-ვე (100%) კურსდამთავრებულმა უპასუხა დადებითად და 20-ვე (100%) კურსდამთავრებული თავისი პროფილით მუშაობს.



წყარო: თსუ სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, თავისი პროფილით დასაქმების ყველაზე უკარგი მაჩვენებელი (100%) თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულმა აჩვენა. მათ არ ჩამორჩებიან ფსიქოლოგიისა და განათლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებიც. ასე რომ, თსუ-ის დოქტორანტურის კურსდამთავრებული შრომის ბაზარზე საკმაოდ მოთხოვნილი და კონკურენტუნარიანი კადრია, რასაც სწავლების მაღალი სტანდარტები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება განაპირობებს.

უნივერსიტეტები და მათი მოქალაქეობრივი პოზიცია

მაია ტორაძე


დღიდან დარსებისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო შეღავათი ეროვნული ღირსების აღდგენისათვის მებრძოლი ინსტიტუცია. მან ქართველი ერის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების მისია იკისრა და, აქედან გამომდინარე, არასდროს მდგარა განზე პოლიტიკური პროცესებისგან.

■ ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის

1921 წლიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ ევროპული ტიპის უმაღლესი სასწავლებლიდან უნივერსიტეტი სტაგნაციის ბოლშევიკურ რელსებზე გადაიყვანა, ის გახდა ადგილი, სადაც იქმნებოდა სივრცე თავისუფალი აზროვნებისთვის, სადაც ყალიბდებოდა ახალი მოძრაობები დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობის მოსაპოვებლად. 1920-30-იან წლებში, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა და სტუდენტთა განხილვებოდა საბჭოთა ხელისუფლების იდეურ ოპოზიციურ ძალად და განუწყვეტილად ებრძოდნენ მათ. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი ზრდიდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებს და ამ ფაქტორს ბიძგი მისცა თავად ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც 1921 წლის თებერვალში რუსეთის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად სტუდენტებს შეიარაღება სთხოვა და საქვეყნო საქმისთვის თავგანწირვისკენ მოუწოდა: „შვილებო! ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღი ხელში მტერს მიეგებო. და აი, მეც თქვენ დღეს იარაღისკენ მოგიწოდებო!“ — ამ მოწოდების შემდეგ ბრძოლის წინა ხაზზე არაერთი სტუდენტი გაეშურა, მათ შორის, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი მარო მაყაშვილი, რომელიც ქართველი იუკრებთან ერთად კოჯრის მისადგომებთან დაიღუპა.

■ ქართული ენის დასაცავად

ათეულობით წლების განმავლობაში უნივერსიტეტზე გადიოდა სახელმწიფოებრივი აზროვნების ძირითადი ძარღვი — ყველა პროგრესულ მოვლენასა და მოსაზრებაში უნივერსიტეტი პირველობდა, ის იყო ყოველი ახალი მოძრაობის დამწყები. ამიტომაც, 1978 წელს, მაშინ, როცა თხუთმეტივე საბჭოთა რესპუბლიკამ პროტესტის გარეშე მიიღო საკონსტიტუციო ცვლილება, რომლითაც რუსული ენა სახელმწიფო ენად ცხადდებოდა, სწორედ აქ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო მძლავრი მოძრაობა ქართული ენის შენარჩუნების მოთხოვნით, რომელსაც მთელი საქართველოს ახალგაზრდობა ამოუდგა მხარში. ყველაფერი ასე დაიწყო: 1977 წელს დამტკიცდა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების რუსიფიკაციის დაჩქარება. ამ პრინციპიდან გამომდინარე, 1978 წელს შედგა საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აღარ ჰქონდა მინიჭებული, ანუ დედაენა რუსული ენით უნდა ჩანაცვლებულიყო. მაშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი და ქომბაგი გახდა ქართული ენის სინამდის დაცვისა. ამ მხრივ აღსანიშნავია უნივერსიტეტის მაშინდელი სტუდენტების ინიციატივები და გამოსვლები ქართული ენის სტატუსის შესანარჩუნებლად. უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც და პროფესორაც ფარულად უჭერდა მხარს სტუდენტური ჯგუფების



აქტიურობას. სხვანაირად ვერ ახსნიოთ იმ ფაქტს, რომ 1978 წლის 6 აპრილს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება ჩატარდა, რომელიც კონსტიტუციის იმ მუხლის რედაქტირების საკითხს მიეძღვნა, რომელიც ქართული ენის ბედს წყვეტდა.

■ მერაბ მამარლაშვილისა და აკაკი ბაქრაძის ლექციაზე ალზრდელი თაობა

ათეულობით წლების განმავლობაში უნივერსიტეტში ფარული მხარდაჭერა ჰქონდა ეროვნულ იდეებს. აქ იყო ფარული „საკრებულო“ სტუდენტი-დისიდენტებისა, რომლებმაც შემდეგ დიდი როლი ითამაშეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში. აქ სწავლობდნენ ცნობილი დისიდენტები, მათ შორის, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, აქ კითხულობდა თავის ცნობილ ლექციებს აკაკი ბაქრაძე, რომელიც თავისუფლების იდეას კიდევ მეტად აღვივებდა და ამ წყურვილით ანთებულ ახალგაზრდობას აჩვენებდა განსხვავებული აზროვნების ფასსა და აუცილებლობას. ამავ იდეის განვითარებას აქვე ემსახურებოდა ცნობილი ფილოსოფოსი მერაბ მამარლაშვილი.

■ კრისკლუბები

გასული საუკუნის 80-იან წლებში სწორედ უნივერსიტეტში გაიშალა მოძრაობები გეორგიევსკის ტრანქატიის 200 წლისთავისა და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებში ზოგიერთი საგნის რუსულ ენაზე სწავლების შემოღების ჩაშლის მიზნით. უფრო მოგვიანებით, ფაქტობრივად, ეროვნული მოძრაობის საფუძვლად იქცა პროტესტი ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის წინააღმდეგ და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე არსებულ საბჭოთა ჯარების პოლიგონზე საარტილერიო სროლების შეწყვეტის მოთხოვნით. 80-იანი წლების ბოლოს უნივერსიტეტში გაიშალა სტუდენტური მოძრაობის ახალი ტალღა. დათო ტურაშვილის, ფიქრია ჩიხრაძის, თედო ისაკაძის და ბევრი

სხვა ადამიანის ირგვლივ იკრიბებოდნენ „სახეები“. მათ შექმნეს „პრესკლუბი“ და უნივერსიტეტის გაზეთთან დააარსეს „სტუდენტური ფურცელი“, რომელშიც იბეჭდებოდა 1918-1920 წლების ბათუმის ოქტის ავტონომიურობასთან დაკავშირებული მოსაზრებები, დავით გარეჯის გადარჩენის მხარდამჭერი და ხუდონჰესის აგების საწინააღმდეგო მასალები.

მაშინდელი აქტივისტი, დიპლომატი ნიკო ნიკოლოზიშვილი უნივერსიტეტის სტუდენტობის ამ პერიოდს ასე იხსენებს: „უნივერსიტეტის პრესკლუბის დამფუძნებლები უახლოესი მეგობრები — ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ვიყავით. ჯერ კიდევ 1983 წელს ჩვენ უარი ვთქვით რუსეთში შრომით სემესტრზე წასვლაზე და სანაცვლოდ მოვიტოვეთ საქართველოში რომელიმე ეკლესიის აღდგენაში მიგველო მონაწილეობა. მაშინ გაგვიმართლა, რადგან „ქეგლთა დაცვის ორგანიზაცია“ საამისოდ აწყურის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი შეარჩია. მესხეთში ჩვენმა მუშაობამ, წარსულთან უშუალო შეხებამ, ჩვენი თაობის ახალგაზრდებში კიდევ უფრო გამამძაფრა პატრიოტული სულსკვეთება და საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს მტკიცებულად აღვიქვამდით. ასე რომ, მომავალი პრესკლუბები უკვე გამოცდილი მეგობრები ვიყავით, როდესაც 1987 წელს ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის საკავშირო პროექტის მშენებლობის სამშრომლის წინაშე დავდექით. ჩვენი თვის ნათელი იყო, რომ ამ პროექტს მოჰყვებოდა დემოგრაფიული სურათის შეცვლა ფშა-ხევსურეთში, არა ადგილობრივთა სასარგებლოდ. მაშინ საქართველოს კომპარტიის ცვ-ს პირველმა მდივანმა დიდი თათბირზე, რომელიც შემდეგ ტელევიზიით გადაიქცა, განაცხადა, რომ ვინც ამ პროექტს წინააღმდეგობას უწევს, ის ხალხის მტერია. პასუხად ჩვენ, „ანყურებო“ ფილოლოგებმა, მეცნიერთა დასკვნებზე დაყრდნობით, დავწერეთ მოცულობითი საკმაოდ დიდი და დასაბუთებული წერილი, რომელსაც ცვ-ს პირველი მდივნის სიტყვების საპასუხოდ სახელად „მოყვარეს-მტერსა ვუფრთხი“ დავარქვით. წერილს იმდენად დიდი ეფექტი ჰქონდა და იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რომ ჩვენ ვიგრძენით „ახალგაზრდული კლამის“ ძალა და იმ დღიდან „წერამ ავციტანა“. სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა — ჩამოგვეყალიბებინა თსუ-ის სტუდენტური პრესკლუბი.

ამ წერილის შემდეგ ტრანსკავკასიური რკინიგზის საწინააღმდეგო 3500 ხელმოწერა შევაგროვეთ, რაც მაშინ უპრეცედენტო შემთხვევა იყო. იმ დროს გავიცანით შედარებით უფროსი თაობის დისიდენტები — ჯერ თამარიკო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და ირაკლი ბათიაშვილი, შემდეგ კი — მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია.

ამ ამბებს მოჰყვა დავით გარეჯის გადარჩენასთან დაკავშირებული მიტინგები, ხუდონჰესის, ჰუჯაბის მონასტერი და ეროვნული მოძრაობაც აგორდა... სწორედ მაშინ მოგვივიდა იდეა მე, თედო ისაკაძეს, ფიქრია ჩიხრაძეს, დათო ტურაშვილს, ნანა ბოკუჩავას, ბაია გრიგალაშვილს, ლელა ჯაფარიძეს (დღეს დედა მარიამი), ქეთევან გვაზავას, რომ შევსულიყავით თსუ-ის რექტორთან და

მოგვეთხოვა უნივერსიტეტის გაზეთში სპეციალური სტუდენტური ჩანართის გაკეთება. ამ დროს უკვე იმდენად ძლიერი იყო ჩვენი სტუდენტური მოძრაობა, რომ რექტორატი ამ იდეაზე უარს ვერ გვეტყოდა — პასუხისმგებლობა მაშინ პრორექტორმა ვახტანგ გოგუაძემ აიღო. გაზეთის სპეციალურ ჩანართს „სტუდენტური ფურცელი“ ვწოდებდით, — ამბობს ნიკო ნიკოლოზიშვილი.

უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობა გახდა ორგანიზაციის ნაწილი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა. უნივერსიტეტიდან დაიწყო მსვლელობა 1989 წლის საპროტესტო აქციამ და სტუდენტების მიერ, დისიდენტებთან ერთად, აგორებულ ტალღას მთელი საქართველო შეუერთდა. ეს მოძრაობა, როგორც საბჭოთა ტირანიას ახასიათებდა, 9 აპრილს ძალადობრივი მეთოდებით სისხლში ჩაახშვეს, მაგრამ მან დაუღწიო საფუძველი სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საბჭოთა რესპუბლიკების დიდ ნაწილშიც.

■ 2012 წლის მოვლენები და უნივერსიტეტის პროტესტი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უნივერსიტეტის სტუდენტობას არ გამოუტოვებია არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც საკუთარი მკაფიო აზრი არ დაეფიქსირებინა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ 2012 წლის მოვლენები, როცა ახალგაზრდობამ სწორედ აქ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები სააკაშვილის ხელისუფლების დროს პენიტენციურ სისტემაში არსებული ძალადობრივი რეჟიმის წინააღმდეგ. ამ გამოსვლებმა მოახდინა გავლენა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე, რომელმაც ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა გამოიწვია.

■ „აუდიტორია 115“ პრობითი უფლებების დასაცავად

ბოლო წლებში განსაკუთრებულად უნდა გამოიკვეთოს უნივერსიტეტის წინააღმდეგ შექმნილი ორგანიზაციები: „ლაბორატორია 1918“ და „აუდიტორია 115“. მათი კატეგორიული მოთხოვნები, თავდაპირველად, უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას შეეხებოდა, ბოლო პერიოდში კი „აუდიტორია 115“ გახდა მძლავრი მოძრაობა პრობითი უფლებების დაცვისა. უნივერსიტეტის სტუდენტები დგანან მემშახტების, მშენებლების, მეტალურგების გვერდით და მათთან ერთად მოითხოვენ პრობითი პირობებისა და უფლებების დაცვას, პრობის უსაფრთხოების კანონის შემუშავებასა და მიღებას.

■ მოძრაობა „არა ბარბაროზებს!“

დღეისათვის უნივერსიტეტში მოძრაობა „არა ბარბაროზებს!“ იღებს სათავეს. ბარბაროზებთან ბრძოლა ლოგიკური გაგრძელებაა ქართული ენის დაცვისთვის გასულ საუკუნეში დაწყებული მოძრაობისა და გულისხმობს რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი ბარბაროზების ენაში დამკვიდრების წინააღმდეგ კამპანიას. მოძრაობას ხელმძღვანელობს თსუ-ის ლექსიკოგრაფიის ცენტრი და პროფესორი თინათინ მარგალიტაძე. ბარბაროზების წინააღმდეგ პირველი მასშტაბური აქცია 2016 წლის ნოემბერში გამოიწვია. მოძრაობას უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორები და საჯარო სკოლების მოსწავლეებიც შეუერთდნენ.

P.S. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საუკუნოვანი ისტორიის შემდეგაც საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდშია და ამართლებს მოსაზრებას, რომ იგი არასდროს ყოფილა მხოლოდ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება. უნივერსიტეტები მუდმივად გამოირჩეოდნენ და დღემდე გამოირჩევიან თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიციით!



თსუ-ის აკადემიური საბჭო მოძრაობა „არა ბარბაროზებს“ შეუერთდა


უნივერსიტეტი – ხელბურის ხარა

წარსული და დღევანდელი


პრეტენზია ბაროვილი

„თ“ ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველი ერისთვის ყოველთვის გაცილებით უფრო დიდი ღირებულება და ფასეულობა იყო, ვიდრე მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულება — იგი მუდამ მოიაზრებოდა როგორც კულტურის კერა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის ბურჯი იმ ურთულესი წლების განმავლობაში, როდესაც სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ აღდგენის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას. უნივერსიტეტს „სულიერების გადარჩენის კერა“ უწოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიომაცე.

ასეთ შეფასებებს ის ფაქტები ამყარებს, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის წარსული დიდებულებიდან დღემდე გვახსენებს თავს. დიახ, უნივერსიტეტის ცხოვრებაში იყო რენესანსის ხანა, რომელიც, პირველ რიგში, რექტორ ნიკო კეცხოველის სახელს უკავშირდება. მისი რექტორობის 8 წელი მართლაც მთელი ეპოქაა. კეცხოველმა ივანე ჯავახიშვილის გზა გააგრძელა, მეორე მხრივ კი მომავალ რექტორებს მისცა მაგალითი. მას „ოთარანთ ქერივს“ ეძახდნენ, მიუკარებელი იყო, მაგრამ გულჩვილი და სამართლიანი. უნივერსიტეტში საოცარი წესრიგი დაამყარა, ნიჭიერ სტუდენტებს მამასავით მფარველობდა. ნიკო კეცხოველმა დააარსა „ახალგაზრდა მწერალთა წრე“ (1947 წ. შემოდგომა), შემდეგ კრებულსაც უშვებდნენ, რომელსაც სახელი



ტარიელ ჭანტურია



თვითონ დაარქვა — „პირველი სხივი“ (1950 წ.). აქ გაიზარდნენ ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია... თითქმის ყველა, ვისაც შემდეგ 60-იანელთა თაობა ეწოდა.

ამ პერიოდს ხშირად „რენესანსულსაც“ უწოდებენ, რადგან მათ მთელი ეპოქა შექმნეს და თავიანთი შემოქმედებით გაამდიდრეს ქართული მწერლობა. „93-ე აუდიტორიაში“ წავითხუთი საუკეთესო ნაწარმოებები „პირველი სხივისა“ და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა. მაშინ, როდესაც ბეჭდური მედიის საშუალებები თითზე ჩამოსათვლელი იყო, ახალგაზრდა მწერლებისთვის ეს დიდი სტიმული და წარმატების საწინდარი გახლდათ. ახალგაზრდებს, რომელთაც კომუნისტურ იდეოლოგიას ახვევდნენ თავს, ხშირად „ეპარებოდათ“ სტრიქონებში სიმართლე, რასაც ვერც გაზეთის რედაქტორები „ამჩნევდნენ“. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული, ამიტომ, დღეს, შეიძლება ითქვას, რომ მათ ერთად გაიარეს რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზა.

როგორც ცნობილი ქართველი პოეტი ტარიელ ჭანტურია იხსენებს, მაშინ, ისეთი ასპარეზი, ახალგაზრდა მწერალს თავი რომ გამოეჩინა, ნაკლებად იყო. ამიტომ ეს მისია, ძირითადად, უნივერსიტეტის გაზეთს და უნივერსიტეტის ლიტერატურულ ალმანახს — „პირველ სხივს“ ჰქონდა აღებული.

„ფაქტობრივად, აქ იყო მეორე ახალგაზრდა „მწერალთა კავშირი“, ამიტომ ამ გამოცემებს, ქართველი მწერლების ასპარეზზე გამოყვანის თვალსაზრისით, დიდი საქმე აქვს გაკეთებული. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ შესანიშნავი ადამიანები ედგნენ სათავეში: ზაურ ბოლქვაძე, ზაალ ჟვანია, გივი შეყილაძე... რედაქტორები თავიანთ უპირველეს ამოცანად მიიჩნევდნენ ახალგაზრდა, დამწყები მწერლებისათვის ხელი შეეწყობოთ. გაზეთში, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის ამბებიც იბეჭდებოდა, მაგრამ იგი ლიტერატურული წრის გაზეთიც იყო, რომელმაც ახალგაზრდა მწერლების ასპარეზზე გამოსვლას დიდი სამსახური გაუწია“, — ამბობს ტარიელ ჭანტურია.

პოეტი გივი ალხაზიშვილი კი იხსენებს, თუ სად და როდის ჩამოუყალიბდათ უნივერსიტეტის რჩეულ სტუდენტებს ანტიკომუნისტური აზროვნება. „60-იან წლებში ხშირად ვიკრიბებოდით უნივერსიტეტის ბაღში მე და ჩემი მეგობრები: ჯემალ აჯიაშვილი, ნოზა დი ბართაია, ჯარჯი ფხოველი, თედო ბექიშვილი, ედუარდ ფა-

ლიანი, ომარ გოგიჩაიშვილი, იური ბაქანიძე, სოსო პაიჭაძე და სხვები. ბევრი, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. უნივერსიტეტის ბაღში პირველივე სკამთან ხის ძირში იყო ჩვენი შეკრების ადგილი — ეს იყო „მწვანე აუდიტორია“, სადაც არანაკლებ ცოდნას ვიღებდით. აქ ხშირად მოდიოდნენ შოთა ჩანტლაძე, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია. ყველას გამოკვეთილად ანტიკომუნისტური აზროვნება გვექონდა, ფობიად გვექცა საბჭოთა რეჟიმის სიძულვილი, ამიტომ არასდროს შეგვიქმნია კონიუნქტურული ლიტერატურა“, — ამბობს გივი ალხაზიშვილი.

გავიდა წლები და მჩქეფარე კულტურული ცხოვრება შემდეგაც გაგრძელდა უნივერსიტეტში. დღესაც აქვე ნიჭიერ შემოქმედ ახალგაზრდებს ფართო ასპარეზი — თავიანთი უნარები გამოავლინონ. ამ კუთხით მათ უნივერსიტეტში 2009 წლიდან ამოქმედებული პროექტი — „შემოდგომის ლეგენდა“ ეხმარება. ახალგაზრდა მწერლებისთვის კარგი სტარტია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ეს ერთობლივი პროექტი. სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობის საშუალება საქართველოს ყველა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს აქვთ. მნიშვნელოვანია, რომ „შემოდგომის ლეგენდას“ ბევრი მონაწილე უკვე დიდი წარმატებით მოღვაწეობს სამწერლო ასპარეზზე და აქტიურად არის ჩართული ლიტერატურულ პროცესებში.

უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებას, ტრადიციულად, მრავალი წელია თსუ-ის მუზეუმი ავანგარდში უდგას, როგორც ძველი ტრადიციების და ისტორიული მემკვიდრეობის სათუთი შემნახველი, და, ასევე, როგორც თანამედროვე კულტურული ცხოვრებისა და მოვლენების მემკვიდრე.

უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებას დღეს მეტად ამდიდრებენ მის ნიაღში შექმნილი მუსიკალური ანსამბლებიც. გოგონათა ხალხური სიმღერის ანსამბლი უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 1936 წელს აქვსენტი მეგრელიძის მიერ ჩამოყალიბდა, რომელიც 1939 წელს დაიშალა. 2007 წელს კი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, თენგიზ ყურაშვილის და ანსამბლ „ურმულის“ სოლისტის თამაზ მამალაძის თაოსნობით „თსუ გორდელა“ შეიქმნა და მსმენელის დიდი სიყვარული დაიმსახურა. ანსამბლი ყველა ტრადიციული ფესტივალის და კონკურსის მონაწილეა. გოგონებმა უძველეს ხალხურ საკრავებზე დაკვრა და ქართული მრავალ-



დათო ტურაშვილი, პროექტის „შემოდგომის ლეგენდა“ უიურის წევრი

სმიანი სიმღერების შესრულება არც ისე დიდი ხანია დაიწყო. მათი წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო იმ უძველესი საკრავების „გაცოცხლება“ა, რაც მათ ანსამბლის ხელმძღვანელის თამაზ მამალაძის დახმარებით შეძლეს. გოგონების ანსამბლის პოპულარობა კარგა ხანია გაცდა უნივერსიტეტის ფარგლებს. „თსუ გორდელას“ უკვე მთელი საქართველო აქვს შემოვლილი. ანსამბლი რამდენიმე ფესტივალის ლაურეატია. მნიშვნელოვანი იყო მათი გასტროლები საზღვარგარეთ, მათ შორის საფრანგეთში, ლიტვაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, უკრაინაში, ისრაელში. „თსუ გორდელას“ ერთგულ მსმენელს წინ უამრავი სიურპრიზი ელის.

დიდი ხნის ისტორია აქვს უნივერსიტეტში თეატრალური დასის არსებობას, რომელიც ჯერ კიდევ 1928 წელს შეიქმნა. და აი, 2000 წელს, რეჟისორების — გიორგი გომურაშვილის, მამუკა გურჩიანისა და სამხატვრო ხელმძღვანელის თენგიზ ყურაშვილის ინიციატივით, დაარსდა თსუ-ის პლასტიკის თეატრი — „სხვენი“. დასი დღესაც წარმატებით აგრძელებს თავის მოღვაწეობას. რეჟისორ გიორგი გომურაშვილის მიერ პანტომიმის ჟანრში დაიდგა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, მას მოჰყვა ნოველებზე აგებული „ბალაგა-

ნი“ და „მხიარული ნოველები“, დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, „შვიდი იუმორესკა“. დრამატულ ჟანრში ლაშა თაბუაშვილის პიესის მიხედვით დაიდგა პირველი სპექტაკლი „ჭრილობა“, ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ და „განკითხვის დღე“. თეატრალური დასის ხელმძღვანელის, რეჟისორის გიორგი გომურაშვილის ინიციატივით, სამომავლოდ დასი თავის ერთგულ მაყურებელს ახალ სპექტაკლებს შესთავაზებს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებას დღეს მნიშვნელოვნად ამდიდრებენ: „მუსიკალური ბენდი — „თსუ ART“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „უნივერსიტეტი“, თანამედროვე ცეკვის სექცია „TSU Modern“ და სხვა.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად 450 კულტურულ ღონისძიებაზე მეტი იმართება. ამ კედლებში კულტურული ცხოვრების „დულილი“ პირდაპირ პროპორციულია ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასთან, მას კი სწორედ ახალგაზრდობაში უნდა ჩაეყაროს საფუძველი, რადგან, როგორც ილია გვასნავლია, „თუ სათავე მღვრივა, მაშინ ბოლოში ამო იქნება წმინდა წყლის ძებნა“... ხელოვნებაც ხომ „წმინდა წყლის“ ძებნას ემსახურება...



თეატრალური დასი „სხვენი“



მოლაშქრეთა კლუბი

სტუდენტური პროექტი – „უნივერსიტეტის მატინა“

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად გამოიცა „უნივერსიტეტის მატინა“, რომელიც 100 წლის მანძილზე მომხდარ მოვლენებს აერთიანებს. ქრონოლოგიურად გადმოცემული მნიშვნელოვანი ფაქტები მკითხველს საშუალებას აძლევს ზუსტად გაიგოს — რა, როდის და როგორ ხდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. „უნივერსიტეტის მატინა“ სტუდენტური პროექტების კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული პროექტია, რომელზეც თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა და სტუდენტებმა — ნათია ქარ-



პროექტზე მომუშავე ჯგუფი

ჩილაძემ, თამთა ჭრიკიშვილმა, თეიმურაზ ბეჟანიძემ, მარიამ გულიაშვილმა და თორნიკე შევარდნაძემ ერთობლივად იმუშავეს. წიგნი ერთი წლის განმავლობაში მზადდებოდა და სპეციალურად თსუ-ის 100

წლის იუბილეს აღსანიშნავად გამოიცა.

გამოცემის მთავარი მიზანი გახლდათ უნივერსიტეტის შესახებ მდიდარი, ერთიანი, მარტივად აღქმადი და კომპაქტური ცოდნის დაგროვება

და მისი გაზიარება მატინას სახით. ამისათვის „უნივერსიტეტის მატინას“ ავტორებმა შეისწავლეს 1918-1921 წლებში გამოცემული გაზეთების („სახალხო საქმე“, „საქართველო“, „კომუნისტი“, „ერთობა“; „თბილისის უნივერსიტეტი“) საარქივო ფონდი, უნივერსიტეტის შესახებ სიუჟეტები საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივიდან და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებული მასალა.

„უნდა ითქვას, რომ ერთი წიგნის ფარგლებში ვერ ჩაატეხ ყველა აქტივობასა და მოვლენას, თუმცა პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი კვლევა ჩავატარეთ“, — განაცხადა სტუდენტმა თორნიკე შევარდნაძემ.

„XXI საუკუნეში მომხდარი მოვლენების კვლევების დროს ჩვენთვის მთავარი ინფორმა-

ციის წყარო თსუ-ის ვებ-გვერდი გახლდათ. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, რომ ობიექტურად გადმოგვეცა და აგვესახა ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი“, — აღნიშნა სტუდენტმა ნათია ქარჩილაძემ.

„უნივერსიტეტის მატინა“ უნივერსიტეტის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარებისთვის საინტერესო საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს — ეს გახლავთ ერთგვარი ფუნდამენტი, რაზეც შეიძლება არაერთი თემატური კვლევა დაშენდეს. ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას გამოცემის საავტორო ჯგუფიც გეგმავს.


პუბლიკაცია „უნივერსიტეტის მატინა“ 400 გვერდიანია, საწყის ეტაპზე ტირაჟი 200 ცალს შეადგენს.

საიუბილეო ფილმის მთავარი იდეა

„ასი“ — ასე ქვია ფილმს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს ეძღვნება. ფილმის გადაღების პროცესზე, მის იდეასა და მნიშვნელობაზე გვესაუბრება ცნობილი ქართველი კინორეჟისორი და დოკუმენტალისტი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულ-

ტეტის კინო-ტელე-ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი მერაბ კოკოჩაშვილი.

„ეს ფილმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ მასში უნივერსიტეტის საუკუნოვანი ისტორიაა მოთხრობილი. მოგვხსენებთ, დღემდე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი გამოჩენილი ადამიანი მოღვაწეობდა. დაგვეთანხმებით, ასწლოვანი ისტორიის ერთსაათიან ფილმში თავმოყრა თითქმის შეუძლებელია, ამიტომ, ძირითადად, მთავარ ხაზს გაყვებით — თუ რა პრინციპი აირჩიეს დასაწყისშივე დამარსებლებმა უნივერსიტეტის შესაქმნელად და რაზე იყო დაფუძნებული განათლება და კვლევა. ამავე დროს გვინდოდა გვეჩვენებინა — რამდენად იყო ეს პრინციპები საზოგადოებისთვის მისაღები“, — ამბობს ფილმის სამხატვრო ხელმძღვანელი მერაბ კოკოჩაშვილი.



მერაბ კოკოჩაშვილი

WWW.TSUSTORE.GE – ონლაინ-მაღაზია თსუ-ში



საქართველოში პირველი საუნივერსიტეტო ონლაინ-მაღაზია www.tsustore.ge ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა. პროექტი თსუ-სა და თი-ბი-სი ბანკის თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. ონლაინ-მაღაზიაში წარმოდგენილია სამოსი და აქსესუარები თსუ ბრენდირებით. თსუ-ის ბრენდირებული პროდუქციის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს. „100 წლის მანძილზე ჩვენი უნივერსიტეტი 300-ათასზე მეტმა ადამიანმა დაამთავრა. ბრენდირებული პროდუქციის შექმნის მსურველი

ძალიან ბევრია. მეორე ეტაპზე ვაპირებთ წიგნების ონლაინ გაზრდას. ეს პროექტი ყველა უნივერსიტეტულთან კავშირის ერთგვარი საშუალებაა. მადლობა თი-ბი-სი ბანკს პროექტის მხარდაჭერისთვის“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

www.tsustore.ge-ზე წარმოდგენილი კოლექციები მუდმივად განახლდება და საზოგადოებას მრავალფეროვან არჩევანს შესთავაზებს მათი ინტერესების გათვალისწინებით. თსუ-ის სტუდენტები და თანამშრომლები ისარგებლებენ უფასოდ მიტანის მომსახურებით.

სპორტული წარმატებები

უნივერსიტეტის სტუდენტურმა სპორტულმა გუნდებმა მრავალი მედალი მოუტანეს უნივერსიტეტს. 2017 წელი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოდ წარმატებულ წლად.

უნივერსიტეტის ფუტსალის სტუდენტური გუნდი კვლავ წარმატებით ასპარეზობს. 2017 წელს საქართველოს საუნივერსიტეტო ჩემპიონატის მოგების შემდეგ თსუ-ის ფუტსალის გუნდმა „ევროპის სტუდენტურ ჩემპიონატზე - ფუტსალში“ ასპარეზობის უფლება მოიპოვა, საიდანაც ვერცხლის მედლებით დაბრუნდა. ამასთან ერთად, თსუ-ის ფუტსალის გუნ-

დისა და ეროვნული ნაკრების წევრი ნიკოლოზ კურტანიძე აღნიშნული ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. ფუტსალის გუნდი, ასევე, ასპარეზობს ფუტსალის ბიზნეს ჩემპიონთა ლიგაზე, რომელიც ძალზედ პოპულარული ჩემპიონატია სპორტის ამ სახეობაში.

წელს უნივერსიტეტის და კომპანია „ჰიუნდაის“ ერთობლივი ძალისხმევით საკალათბურთო გუნდი „თსუ-ჰიუნდაი“ მეოთხედ მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონატის „ა“ ლიგაში და იბრძობებს სუპერლიგაში გადასასვლელად. „თსუ-ჰიუნდაიმ“ ბიზნეს ლიგის მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენმა გუნდმა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დაამარცხა ანგარიშით 4-2.



თსუ-ის ათლეტიზმის დარბაზში 27 ნოემბერს გაიმართა 2017 წლიდან მსოფლიო თასის სერიაში შემავალი საქართველოს თასის ღია გათამაშება ძალისმიერ სამჭიდში, ორჭიდსა და ცალკეულ მოძრაობებში.

ქალისმიერ სამჭიდში, ვაჟთა შორის, შესანიშნავად იასპარეზეს თსუ-ის სტუდენტებმა. უნდა აღინიშნოს, რომ უნი-

ვერსიტეტის გუნდის თითოეულმა წევრმა ოქროს მედალი მოიპოვა. უნივერსიტეტის სპორტსმენებმა დაამყარეს 25

ვერობის და 4 მსოფლიო რეკორდი, რომლებიც შეტანილია ევროპისა და მსოფლიო რეკორდების ცხრილებში.

პარტნიორობი საერთაშორისო ასპარეზოზე

მე-19 გვერდიდან

ბას ხელს უწყობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოეთში პროგრამების, რომელიც სწავლების სამივე საფეხურს მოიცავს. ბაკალავრიატის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ ისწავლონ ფრანგულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე — ინფორმატიკა; მაგისტრანტებს — შემდეგ უცხოეთში პროგრამებზე: ევროპისა და კავკასიის კვლევებში; ეკონომიკა; ევროპის მცოდნეობა (ინტერდისციპლინური პროგრამა ევროკავშირის შესახებ); თსუ-სა და გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერ) ერთობლივ ინტერდისციპლინარულ სამაგისტრო პროგრამაზე „საჯარო მმართველობა“-სა და კიოლის სამაგისტრო პროგრამაზე „სამართლის მაგისტრი“. დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის თსუ-ში მოქმედებს ერთობლივი ფრანგულენოვანი

სადოქტორო პროგრამა — ევროპული ლიტერატურა. ეს პროგრამები ქართველი სტუდენტებისათვის მაღალი ხარისხის განათლების მიღების შესაძლებლობას იძლევა. ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტეგრაციას უცხოელი პარტნიორებიც უწყობენ ხელს. დღითიდღე იზრდება საზღვარგარეთის პრესტიჟული უნივერსიტეტების ინტერესი თსუ-სთან პარტნიორული ურ-

თიერთობის დამყარების მიმართულებით.

თუ გვერდითა: „არაერთი შემოთავაზება გვაქვს ინსტიტუციური განვითარებისა და საერთაშორისო კრედიტ-მოტილობის პროგრამებში პარტნიორობაზე, ასევე ერთობლივ სამაგისტრო და კოტუტელის სადოქტორო პროგრამებზე; მიმდინარეობს მოლაპარაკებები ერთ-ერთი პრესტიჟული ევროპული კვლევითი გაერთიანების — ჰაბის დაარსებაზე თსუ-ში. აღსანიშნავი ფაქტია, რომ ჩვე-

ნი აპლიკაცია UNICA-ს ქსელში წევრობის თაობაზე განხილვის ბოლო ეტაპზე; პარალელურად ვმუშაობთ კიდევ ერთ, გავლენიან საერთაშორისო საუნივერსიტეტო გაერთიანებაში წევრობის განაცხადზეც.

მეტი პარტნიორობი! უფრო ღრმა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ფორმები! — ეს ყოველივე ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია“.



მეამაყება, რომ ამ უნივერსიტეტის კედლებში მაქვს მოღვაწეობის უფლება და შესაძლებლობა

ლადო ჭანტუაია, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე საქართველოდან:

— მე უნივერსიტეტში პირველად 1980 წელს შემოვედი, როცა უნივერსიტეტის სტუდენტი გახდი. 1980 წლიდან ერთი დღითაც არ შემიწყვეტია უნივერსიტეტთან კავშირი ჯერ როგორც სტუდენტს, შემდეგ როგორც ასპირანტს, მერე როგორც ასისტენტს, დოცენტს... 1995 წლიდან დღემდე

ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ამ უნივერსიტეტის დიდი პატრიოტი. 100 წელს ერთ-ხელ აღნიშნავენ მხოლოდ და მე, პირადად, და ჩემი თაობის წარმომადგენლები ბედნიერ ვართ იმით, რომ 100 წლის იუბილეს აღნიშვნის შესაძლებლობა გვეძლევა. მე მას სოვს უნივერსიტეტის სხვა იუბილევები, როცა დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელები უარს ამბობდნენ საიუბილეო ღონისძიებისთვის აქ ჩამოსვლაზე იმის გამო, რომ ისინი 100 წელზე ახალგაზრდა უნივერსიტეტების იუბილევებში არ იღებდნენ მონაწილეობას. ასე რომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ეს ბარიერიც დაძლია და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები დღეს უკვე დიდი სიამოვნებით ჩაერთვებიან საიუბილეო ღონისძიებაში. მე გულით, სულით უნივერსიტეტელი ვარ! მეამაყება, რომ ამ უნივერსიტეტის კედლებში მაქვს მოღვაწეობის უფლება და შესაძლებლობა.


უნივერსიტეტი გატარებულმა სუთმა წაღმა ბავრი რამ მომცა

ბია ყანელი, კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 100 წელი უს-

რულდება და, რა თქმა უნდა, საჭიროა მისი დამაარსებლების გახსენება. დღეს კი, მინდა, მივულოცო უნივერსიტეტის პედაგოგებს, სტუდენტებს ეს შესანიშნავი თარიღი. მე დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიური ფაკულტეტი. როდესაც მეოთხე კურსზე გადავედი, ჩავაბარე კონსერვატორიაში. ვიცი, რომ, ჩემი სხიით, გეოლოგიას არაფერი დაუკარგავს, მაგრამ თუ მუსიკამ რამე შეიძინა, მაშინ მინდა მოგახსენოთ შემდეგი მოსაზრება: ნახევარი საუკუნის მერე თუ ჩემს მუსიკას ეყოლება იმდენივე შემსრულებელი (გვულისხმობ მსოფლიოს), რამდენიც ჰყავს დღეს, მაშინ მიმარწმუნია, რომ ჩემს შრომას მართლაც ჰქონია მნიშვნელობა.

მე უზომოდ მიყვარს ეს ბრწყინვალე დანახებულება, რადგან უნივერსიტეტში გატარებულმა ხუთმა წელმა ბევრი რამ მომცა.



ტსუ-ის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საოლქციო მონეტა გამოუშვა



უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საოლქციო მონეტა გამოუშვა. საიუბილეო მონეტა საზოგადოებას ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ, თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და მონეტის დიზაინერმა ნინო გონგაძემ წარუდგინეს.

„მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ ეროვნული ბანკის კიდევ ერთი საინტერესო პროექტის წარმატებული შედეგი — საოლქციო მონეტა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მივუძღვევით. ეროვნული ბანკისთვის ნამდვილად საამაყო იყო ამ პროექტზე მუშაობა. საქართველოს ეროვნული

ბანკი ულოცავს უნივერსიტეტს 100 წლის იუბილეს და, ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად, მას 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საოლქციო დანიშნულების მონეტას უძღვნის“, — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ.

5 ლარის ნომინალის ვერცხლის საოლქციო მონეტის ესკიზი ღია კონკურსის წესით შეირჩა და დიზაინის ავტორი ნინო გონგაძეა. მონეტა ესპანეთის სამეფო ზარაფხანაში 1500-იანი ტირაჟით მოიჭრა. მონეტის ფასი 95 ლარია და მისი შექმნა 1 თებერვლიდან შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში, ყვარლის ფულის მუზეუმსა და ონლაინ მაღაზიის მეშვეობით.

მარიამ ლორთქიფანიძის უცნობი წერილი უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ხეობა


ენიკო აბაულია

2017 წელს ივანე ჯავახიშვილის სკოლის მესვეურის, აკადემიკოსისა და დიდი ისტორიკოსის მარიამ ლორთქიფანიძის 95 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ხელისუფლების წარმომადგენ-

ლებსა და საუნივერსიტეტო საზოგადოებას მან ანდერძად თამამი თხოვნა გაანდო — „ვაპირებ, ჩვენს ახალგაზრდობასთან ერთად, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რაც ერთხელ უკვე გავიარე და გავაკეთე — უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე უნდა იკითხებოდეს საქართველოს ისტორიის კურსი!“ — თქვა მან და ბრძოლისთვის მოემზადა... ის კვლავ მომავალზე მეოცნებე იყო...

ელოდა მისი სათაყვანებელი უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესაც, რათა მეცნიერთა იმ ამქარს შერწყმოდა, ვისაც სიტყვა ეთქმის 100 წლოვანი უნივერსიტეტისთვის... და აი, ამ დიდებულ წამს ის ვეღარ მოესწრო... სულ ცოტა ხნის წინ მარიამ ლორთქიფანიძე დიდუბის პანთეონს მივება-რეთ და უნივერსიტეტის იუბილეს, დასანანია, რომ მის გარეშე ვზეიმობთ... თუმცა, დიდმა ქალბატონმა, რომელ-

საც მუდამ წინ გახედვა სიცოცხლეშივე ახასიათებდა, წერილი დატოვა. წერილს მისმა რძალმა — ირინე მირიჯანაშვილმა მარიამ ლორთქიფანიძის საწერ მაგიდაზე მიაგნო. და აი, დიდი ისტორიკოსის მოგონებით, კიდევ ერთი ფურცლით მდიდრდება უნივერსიტეტის ისტორია. ეს მოგონება ხელნაწერის სახითაა შემონახული.



რულდა უნივერსიტეტისთვის ჯავახიშვილის სახელის მინიჭების საკითხი. ჯავახიშვილის სახელი მხოლოდ 1989 წელს მიენიჭა უნივერსიტეტს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ბოლო დღეებს ითვლიდა.

P.S. ისტორიკოს ოთარ ჟორდანიას სტატიაში დასაბუთებულია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი დაარსდა საბჭოთა სახელმწიფოს დაარსებამდე (1918 წ.). უნივერსიტეტის დამაარსებლები იძულებული გახდნენ შეეცვალათ მისი დაარსების თარიღი 1921-ით. და იმ საშინელი ტერორის გამო, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოში მივიწვევრებოდა, ხმის ამოღება ვერაინ გაბედა. მოხარული ვარ, რომ ისტორიული სიმართლე აღდგენილია და 2018 წელს ვზეიმობთ უნივერსიტეტის 100 წლისთავს.

მარიამ ლორთქიფანიძე (წერილი დაწერილია 2017 წლის სექტემბერში).



- მთავარი რედაქტორი: ნინო კაკულია
მთავარი სამცხალისტი: მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი: მანანა ჯურხაძე
წარმომადგენელი: ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი
ფოტოკომპოზიციონერი: ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა: ზაზა გულაშვილი

რედაქციის წევრები:

- რისმაგ გორდენიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ლადო პაპავა, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩხილაძე, გიორგი ჯიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ჭალაგანიძე, ირმა რუხაძე

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 (თსუ-ის მე-3 კორპუსი)

2 22 36 62 ვებგვერდი: newspaper.tsu.ge

ელ.ფოსტა: tsunewspaper@tsu.ge

მოგონება



როდესაც ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავს აღვნიშნავთ, არ შემიძლია არ მოვიგონო ერთი ფაქტი: 1976 წელს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად შედგა გაერთიანებული კომისია, რომელსაც იმ დროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოს თავმჯდომარე ბატონი გიორგი ძონენიძე ხელმძღვანელობდა. კომისი-

ის წევრები იყვნენ იმ დროს ქალაქკომისის მდივანი პავლე გილაშვილი, ქართველოლოგიური დარგის მეცნიერები. კომისიის წევრი ვიყავი მეც — ჩვენი უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე მეც ვითხოვე სიტყვა და დავაყენე საკითხი, რომ უნივერსიტეტს ეწოდოს მისი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელი. საშინელი გაბრაზებული წამოდგა პავლე გილაშვილი და ბრძანა, რომ უნივერსიტეტს ეწოდება სტალინის სახელი და ასე დარჩება (ბატონი პავლე საოცარი სტალინელი იყო. 1953 წლიდან ყველა დანესხებულებას მოეხსნა სტალინის სახელი, მათ შორის უნივერსიტეტსაც და ის მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად მოიხსენიებოდა). მე შევეკამათე და ვუთხარი, რომ ჩემი სწავლის პერიოდში და შემდგომ 1953 წლამდე უნივერსიტეტის მიერ გაცემულ დიპლომებს აწერია სტალინის სახელი,

1953 წლიდან დღემდე კი ეს სახელი არსად ფიგურირებს. უპირადად მიმარწმუნია — უნივერსიტეტს ეწოდოს ჯავახიშვილის სახელი! ჩემს გვერდით იჯდა უნივერსიტეტის რექტორი (1972-1980 წწ.) დავით ჩხიკვიშვილი, რომელმაც ხელი გამკრა და ჩუმიად მითხრა — „ნუ ეკამათები!“ შემდგომ წამოდგა გიორგი ძონენიძე, აიღო „СОВЕТСКАЯ ИСТОРИЧЕСКАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ“, გადაშალა ივანე ჯავახიშვილზე, ეს გვერდი აჩვენა ყველას და თქვა — აქ არაფერი წერია უნივერსიტეტის დაარსებაზე! მე იძულებული გახდით — გაჩუმებულიყავი. ბატონმა გიორგიმ კარგად იცოდა, რომ საქართველოდან მოსკოვში გაგზავნილი სტატია ჯავახიშვილზე მიკრიჭ-მოკრიჭეს და წაანერეს „личности не основывают университет“ (რადგან უმაღლესი სასწავლებლის დაარსების უფლება არა პიროვნებებს, არამედ მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებას ჰქონდა). იმ ეტაპზე ასე დას-